გაზეთი ხვალის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№64 (1090) 10 - 11 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ბოლო სტადიის სიმსივნე განკურნებადია!

სტომატოლოგმა ონკოპაციენტი შვილი „სპეციალური დიეტით" განკურნა

გვ. 9

# დეპუტატების სია, ვინც არასააპარლამენტო ოპოზიციის მემორანდუმს ხელი მოაწერა



10 ივნისს, 12 საათზე, არასაპარლამენტო ოპოზიცია საგანგებო ბრიფინგს „თბილისი მარიოტთან" ჩაატარებს და მემორანდუმზე ხელმომწერი 59 პარლამენტარის გვარს დაასახელებს

11 ივნისს ოპოზიციონერები დიპლომატებს შეხვდებიან

2016 წლის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს მთელი არასაპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს

ექსკლუზივი

გვ. 3

## აკაკი ასათიანის პოლიტიკური პროგნოზები



ვინ იქცევა ქინდერ-სიურპრიზად „ოცნებისთვის" და რა შეიცვლება რეგიონში უკრაინაში სააკაშვილის გაპრემიერებით

გვ. 4

## ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ლარის კურსის დევალვაციის გამო და რა ეკონომიკური პროცესი მიმდინარეობს ქვეყანაში



გვ. 5

## სისხლიანი გარჩევა მეგობრებს შორის



პატიმრის დღიური გვ. 6

## „კაბელების საქმის" მოსამართლე ალასანიას ახლობელია და საქმეს ხელოვნურად აჭიანურებს?

რა კავშირი აქვს დავით ჯულელს თავდაცვის ექსმინისტრთან და მისი გარემოცვის წევრ კახა ჩიხრაძესთან

## სპეციალური რეპორტაჟი თბილისის მერიის მისაღებიდან

## დეველოპერულმა კომპანიამ m² უძრავი ქონება „m² გალერეა" გახსნა




გვ. 9

ინტერიერის დიზაინის, სარემონტო მასალების შერჩევის, კონსულტაციის და გაყიდვების ერთიანი სივრცე ქავთარაძის №1-ში




## ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობასა და ოპერირებაზე საბოლოო წინადადებებს ორი კომპანია წარადგენს

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ და „ანაკლიის ინდუსტრიული ეკოპარკის, პორტის და Power China კონსორციუმის“ განაცხადებები, სამთავრობო კომისიამ კვალიფიციურად სცნო.

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, ორივე კანდიდატს უპირატესი განმცხადებლის სტატუსი მიენიჭა.

მომდევნო ეტაპზე უპირატეს განმცხადებლებთან მოლაპარაკებები წარიმართება. საბოლოო წინადადებების წარდგენის შემდეგ კი, გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება. პორტის მშენებლობა 2016 წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს.




## ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ოდესის საოლქო სამმართველოს უფროსად ინიშნება

ერთ-ერთი უკრაინული ინტერნეტგამოცემა, ოდესის ოლქის სამართალდამცავი ორგანოებიდან სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ გია ლორთქიფანიძე ოდესის მთავარი მილიციელი გახდება.

გია ლორთქიფანიძე შს სამინისტროში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მუშაობდა, იგი ვანო მერაბიშვილის მოადგილე იყო.

გია ლორთქიფანიძე საგამოძიებო უწყებებმა მოწმის სტატუსით 26 მაისისა და ე.წ. ლაფანყურის საქმეზე დაკითხეს. მან 26 მაისის საქმეზე, რომელზეც შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს პატიმრობა აქვს შეფარდებული, ჩვენება სასამართლოსაც მისცა.




## ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გამოვა

ევროპის ჩემპიონატი იმ ქვეყნებს შორის ჩატარდება, ვინც ფიფა-ს ეგიდით არ გამოდის. ე.წ. ეროვნული ნაკრების პირველი მოსამზადებელი ვარჯიში ახალ ათონში ჩატარდება. მოსამზადებელ ვარჯიშში სულ 23 ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას. როგორც ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ გუბაზი აცხადებს, ვარჯიშის დროს საუკეთესო მოთამაშეები შეირჩევიან და 14 ივნისს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა გახდება ცნობილი: **„ჩვენ ბევრი მოთამაშე გვყავს, ვინც საზღვარგარეთ თამაშობს. არ ვიცით, ვინ რა ფორმაშია და ამიტომ ცოცხალი კონკურენციის რეჟიმში უნდა ამოვარჩიოთ საუკეთესოები“.**

შესარჩევი ვარჯიში 14 ივნისამდე გაგრძელდება და 16 ივნისს გუნდი უნგრეთში გაემგზავრება.

ე.წ. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბესლან გუბლიაა, მწვრთნელი-კონსულტანტი კი ე.წ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე ბესლან აჯინჯალია.

ჩემპიონატი ბუდაპეშტში 17 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით ჩატარდება. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ნაკრებს მხარდაჭერას დე ფაქტო პრეზიდენტი უცხადებს.

*„პირველი“*

## გიორგი ოქროპირიძე პატიმრობაში რჩება



თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ოქროპირიძეს, ცრუ დასმენის საქმეზე წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ ლაშა მახარაძის მკვლელობაში ბრალდებულის მიმართ, პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ოქროპირიძე პატიმრობაში დატოვა.

გიორგი ოქროპირიძეს მთავარმა პროკურატურამ პირადი მოტივით ცრუ დასმენის ფაქტზე ბრალი 8 ივნისს წაუყენა. გამოძიების ინფორმაციით, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა გიორგი ოქროპირიძემ 2014 წლის 22 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულს განუცხადა, რომ მას სასჯელაღსულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო. პროკურატურის განცხადებით: **„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისის №8 დაწესებულებიდან ბათუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანისას, გ. ოქროპირიძე ითხოვდა თბილისის №8 დაწესებულებაში დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ მიიყენებდა თვითდაზიანებებს და სახალხო დამცველს დაარწმუნებდა, რომ იგი დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან წამების მსხვერპლი იყო, რითაც დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა სისტემას. რეალურად კი, როგორც მოპოვებული მტკიცებულებებით უტყუარად დადგინდა, გ. ოქროპირიძეზე არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან“.**

გიორგი ოქროპირიძის საქმესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქალაქო სასამართლომაც: **„2015 წლის 9 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. საქმის მასალების თანახმად, გიორგი ოქროპირიძემ ჩაიდინა დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა, რომელსაც ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, ჩადენილი პირადი მოტივით აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის სხდომაზე, ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დაცვის მხარე სასამართლოს წინაშე აღკვეთის გარეშე დატოვების შუამდგომლობით წარსდგა. სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ პროკურატურის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. კერძოდ, გიორგი ოქროპირიძე წარსულში ნასამართლევია განზრახ მკვლელობის, ხულიგნობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის. ამჟამად ბრალდებულია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის (სსკ-ს 109) და მასვე, ბრალად ედება კიდევ ერთი განზრახი დანაშაულის შესაძლო ჩადენა (სსკ-ს 373-3,ა), რაც ასაბუთებს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეს. ასევე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ პირველი დანაშაულის ჩადენის შემდგომ ბრალდებული მიიმალა, ასევე განზრახ მკვლელობის შესაძლო ჩადენის შემდგომ, ოქროპირიძე კვლავ მიიმალა და მისი გადმოცემა მოხდა ქართული მხარისთვის არაკონტროლირებადი — ცხინვალის რეგიონიდან. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს მიმალვის, საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2015 წლის 28 ივლისს 12:00 საათზე“.**

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს. მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს კი აღნიშნულ საქმეზე 9-თვიანი პატიმრობის ვადა 2015 წლის 12 ივნისს ეწურება.

*„პირველი“*

## შსს-ს აკადემიაში პრაღის პროცესის მიზნობრივი ინიციატივის პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა



სამუშაო შეხვედრაზე არალეგალური მიგრაციის შესახებ პრაღის პროცესის მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

პროექტი არალეგალური მიგრაციის საკითხებზე, პოლონეთის და რუმინეთის ხელშეწყობით, 2014 წლიდან ხორციელდება და წევრ ქვეყნებს შორის არარეგულარულ მიგრანტთა მოქალაქეობისა და პირადობის დადგენის საკითხებზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად.

შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, პრაღის პროცესის პროექტში მონაწილე ქვეყნების — სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის რესპუბლიკის, ბოსნია და ჰერცეგოვინას, უნგრეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის რესპუბლიკის, ჰოლანდიის, პოლონეთის რესპუბლიკის, რუმინეთის რესპუბლიკის, სერბეთის და უკრაინის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრის მონაწილეებმა სამუშაო შეხვედრის შემდეგ შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრი დაათვალიერეს და დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

პრაღის პროცესის სამდივნოს ფუნქციას მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ასრულებს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად კოორდინაციას უწევს საპილოტე პროექტების განხორციელებას.

*„ვერსიანიუსი“*

## კანონის უზენაესობის ინდექსით საქართველო აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში პირველ ადგილზეა



2015 წლის „მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“ კანონის უზენაესობის ინდექსის თანახმად, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში პირველ პოზიციას იკავებს.

გარდა ამისა, კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 29-ე ადგილზეა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში წინა წელთან შედარებით 2 ერთეულით გაუმჯობესდა. ის უსწრებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: იტალია, რუმინეთი, საბერძნეთი, ხორვატია, უნგრეთი.

„მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის“ კვლევა კანონის უზენაესობის მდგომარეობას მსოფლიოს 102 ქვეყანაში ასახავს. პროექტი იყენებს 47 ინდიკატორს, რომლებიც 9 ფაქტორის გარშემო ჯგუფდება: კორუფციის არარსებობა, ღია მმართველობა, მთავრობის უფლებამოსილების შეზღუდვები, ფუნდამენტური უფლებები, წესრიგი და უსაფრთხოება, აღსრულება, დანაშაულის დონე, სისხლის და სამოქალაქო მართლმსაჯულება.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს კორუფციის არარსებობის კუთხით აქვს. მსოფლიო რეიტინგში 0.73 ქულით ქვეყანა 22-ე პოზიციას იკავებს. მაღალია ღია მმართველობის მაჩვენებელიც — 29-ე პოზიცია რეიტინგში. ამ მაჩვენებლის თანახმად, საქართველო ლიდერობს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

წესრიგისა და უსაფრთხოების ფაქტორის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს მასშტაბით 24-ე ადგილზეა, აღსრულების მაჩვენებლით 25-ე პოზიციას იკავებს, ხოლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თანახმად, 26-ე და 35-ე პოზიციებზეა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, კანონის უზენაესობის ინდექსის კვლევის მეთოდოლოგია ექსპერტთა და მოქალაქეთა გამოკითხვას ეფუძნება. ამ მიზნით, თითოეულ ქვეყანაში 100 000-ზე მეტი რესპონდენტი და ექსპერტი გამოიკითხა. 2015 წლის შედეგების თანახმად, რეიტინგში დანია ლიდერობს, ნორვეგია და შვედეთი კი მე-2 და მე-3 ადგილებს იკავებს.

*„პირველი“*

# დეპუტატების სია, ვინც არასაპარლამენტო ოპოზიციის მემორანდუმს ხელი მოაწერა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**10 ივნისს ქუთაისის პარლამენტში, 12 საათზე, ბიუროს სხდომაა ჩანიშნული. ერთ საათში კი — პლენარული, რომლის ერთ-ერთ საკითხად პარლამენტი საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებსაც გამოიტანს. „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა, რომ ეს სხდომა მონოტონურ რეჟიმში არ ჩაივლის. უკვე რამდენიმე დღეა, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფი „ოცნებას“ პასუხს უმზადებს. როგორც გავარკვიეთ, არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას პარალელურ რეჟიმში ბრიფინგს მოუწყობს და ზუსტად 12 საათზე „თბილისი მარიოტიდან“ სხვადასხვა ტელევიზიის პირდაპირ ჩართვაში მემორანდუმზე ხელმომწერი დეპუტატების გვარებს დაასახელებენ.**



საარჩევნო კოდექსზე ეს დაპირისპირება ერთი წლის წინ დაიწყო, უფრო სოლიდური სახე მას მერე მიიღო, რაც ოპოზიციას პრეზიდენტი შეუერთდა, ხოლო პიკს მათ შეთავაზებებზე მმართველი კოალიციის მიერ გაცემული პასუხის შემდეგ მიაღწია. არასაპარლამენტო ოპოზიცია, პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო სექტორი არჩევნების საერთო-პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული წესით ჩატარებას ემხრობიან. ეს პარტიებსაც განვითარების მეტ შანსს მისცემდა და არც რეგიონები დაკარგავდნენ საკუთარ წარმომადგენლებს პარლამენტში, ასევე აღარ გახდებოდა საჭირო საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლაზე ფულისა და ნერვების ხარჯვა. ხელისუფლებას კი განაღდებული 20%-იანი ფორა აღარ ექნებოდა. ამის საუკეთესო მაგალითი თბილისში, ადგილობრივ არჩევნებში „ოცნების“ მიერ აღებული ხმების 44%-ია, რომლის პროპორციულად, მას საკრებულოში 76 მანდატი შეხვდა. ოპოზიციის მიერ შეთავაზებული სისტემა კი უზრუნველყოფს, ყველას იმდენი ადგილი ერგოს პარლამენტში, რამდენ ხმასაც აიღებს. ამ შეთავაზებას „ოცნების“ უმრავლესობამ ასე უპასუხა: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ისევ ძველი, ანუ პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება, თუმცა მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა გათანაბრდება, რისთვისაც პატარა საარჩევნო ოლქები გაერთიანდება, დიდები კი — დაიყოფა, მათ შორის, თბილისშიც. გარდა ამისა, მაჟორიტარობის კანდიდატს გასამარჯვებლად 50%-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევს. ხოლო ოპოზიციის მიერ შეთავაზებული ცვლილებების ნაწილი 2020 წლიდან ამოქმედდება და მომდევნო საპარლამენტო არჩევნები მთლიანად პროპორციული სისტემით, ანუ პარტიული სიებით ჩატარდება. პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ ნაციონალების 9-წლიანი „გადაგდებისა და გადადების“ ტრადიცია წარმატებით შეინარჩუნა. სამაგიეროდ, ოპოზიციამ უღალატა გადამწყვეტ მომენტში „დაშლისა და ერთმანეთისთვის კვანტის“ დადების ტრადიციას და ორდღიანი თათბირისა და ბევრი დათმობის შემდეგ, ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღო. სხვათა შორის, ორი დღით ადრე, ოპოზიციური კულუარებიდან ინფორმაცია გამოვიდა, პარტიები „ოცნებას“ ქუთაისში უნდა ჩაუხტნენო, თუმცა ეს იდეა ბოლო მომენტში შეიცვალა. ინიციატივა 8 ივნისს ინტერპარტიული ჯგუფის 4 მსხვილ პარტიას შორის შეთანხმდა. თუმცა 9 ივნისს, სამშაბათს, კიდევ ერთი შეხვედრა ახალი მემარჯვენეების ოფისში შედგა, სადაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეს საარჩევნო-ოპოზიციური პერფორმანსი დედაქალაქში გაიმართება. სხვათა შორის, პარალელურ რეჟიმში, სამუშაო ოთახში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უმრავლესობის წევრებს ხვდებოდა და იმის მიუხედავად, რომ შეხვედრის თემები არ გასაჯაროებულა, ჩვენი ინფორმაციით, სწორედ საარჩევნო ცვლილებებსა და მოსალოდნელ გართულებებზე ესაუბრებოდა. ჩვენთვის ოპოზიციის გეგმების სხვა ექსკლუზიური დეტალების შესახებაც გახდა ცნობილი: სპეციალურ ბრიფინგზე ოპოზიცია მათ მიერ მომზადებულ საარჩევნო მემორანდუმზე ხელმომწერი დეპუტატების გვარებს გაასაჯაროებს.

**ამ დროისთვის, ოპოზიციას ხელი 59-მა დეპუტატმა მოუწერა: ამ სიაში არიან ნაციონალური მოძრაობა, სრული შემადგენლობით და ასევე 4 გამოყოფილი ექსნაციონალი. ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, სრული შემადგენლობით, დამოუკიდებელი დეპუტატი მურმან დუმბაძე და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. როგორც გავარკვიეთ, კობა დავითაშვილთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, კიდევ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატი, „მწვანეების“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე კი, ფაქტობრივად, მიმხრობილი ჰყოლიათ. ოპოზიციის ლიდერებს ეროვნული ფორუმის მხარდაჭერის იმედიც აქვთ და აცხადებენ, რომ ამ საკითხს პარტიაში კახა შარტავა ლობირებს. „ვერსიამ“ ეს ინფორმაცია „ფორუმელებთან“ გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ პარტია მემორანდუმს არ უერთდება, მაგრამ არც „ოცნების“ პოზიციას იზიარებს და პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება არა 2020, არამედ 2016 წელს სურს.**

ბოლო მომენტამდე ყოყმანის რეჟიმში იყო რესპუბლიკური ფლანგიც, თუმცა ლიდერის, უსუფაშვილის საჯარო პოზიციას არ აყვნენ. მეტიც, როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გვითხრა, ბოლო წამს, დავით ბერძენიშვილს ნერვებმა უმტყუნა და „ახლებსა“ და ქრისტიან-დემოკრატებს შეახსენა, თუ ეს ცვლილებები ასე გინდოდათ, თქვენ არ იყავით, სააკაშვილის ოპოზიციური „რვიანი“ რომ დაშალეთო?! მისი ეს განცხადება ოპოზიციამ პოლიტიკურ შურისძიებად შეაფასა. თუმცა რესპუბლიკელებთან ამ თემებზე კამათი და საუბარი მაინც შეიძლება, აი, ზვიად ძიძიგურს ვერაფერი მოვუხერხეთო, — ამბობენ ინტერპარტიულ ჯგუფში. სხვათა შორის, ძიძიგური, მამუკა კაციტაძესთან ერთად, ის ადამიანია, ვინც ზუსტად ამავე მოთხოვნებით 17 დღის განმავლობაში იშიმშილა. დღეს კი, თურმე, ყოფილ თანამებრძოლებს თუ „თანამოშიმშილეებს“ ან არაპირდაპირ პასუხობს, ან ემალება. მოკლედ, ოპოზიციის გეგმა მაქსიმუმი ამ ეტაპზე, ხელისუფლების დანარჩენი წარმომადგენლების ბოლო ღია მოწოდება იქნება, მემორანდუმის ტექსტს შეუერთდნენ. ამ ყველაფრის უმთავრესი მიზანი კი სხდომაზე 76 კაცის მოგროვებაა, ხმათა უმრავლესობით, ეს ვითომ შეცვლილი კოდექსი კენჭისყრაზე ჩავარდეს. მათ „ოცნებაზე“ მორალური შეტევა აქვთ დაგეგმილი და მიაჩნიათ, რომ თუ ამ საკითხის განხილვისას სხდომათა დარბაზში მხოლოდ უმრავლესობა დარჩება, ამით მმართველ კოალიციაში, მინიმუმ, რესპუბლიკელებს მაინც შეექმნებათ დისკომფორტი. რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს ოპოზიციის მიერ აქციების დაწყების შესახებ, როგორც გავარკვიეთ, ასეთი რამ არ იგეგმება. პირიქით, ოპოზიცია რაც შეიძლება დიდხანს მოერიდება პროცესის ქუჩაში გადატანას. ამ ეტაპზე, მათ ჯერ მხოლოდ კაბინეტური ბრძოლა აქვთ დაგეგმილი და 11 ივნისს საელჩოების წარმომადგენლებს ხვდებიან. ყოველ შემთხვევაში, ერთობლივი საპროტესტო გამოსვლები შემოდგომამდე მოსალოდნელი არ არის.

ასევე, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი კიდევ ერთ და ძალიან მნიშვნელოვან თემაზე შეჯერდება. ეს თემა პირველად ნინო ბურჯანაძემ გამოიტანა საჯაროდ, საკუთარი პარტიის სახელით და დღეს ინტერპატიული ჯგუფიც შეთანხმებულია — 2016 წლის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს. ეს განცხადება ბურჯანაძემ 8 ივნისს გააკეთა: **„მოვუწოდებთ ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას, საჩვენებელი ბოიკოტი გამოვუცხადოთ შემოდგომაზე გამოცხადებულ შუალედურ არჩევნებს. ეს იქნება ძალიან სერიოზული გზავნილი. ამ არჩევნებში ხელისუფლება მარტო უნდა დარჩეს და მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ პოლიტიკური სპექტრი, რომელსაც სამართლიანი არჩევნები სურს, ერთ მხარესაა, ხელისუფლება კი მეორე მხარეს“**. 9 ივნისს კი ამავე თემაზე სპეციალური განცხადება ახალმა მემარჯვენეებმაც გააკეთეს და შუალედურ არჩევნებს ამ ფორმით გაემიჯნენ: **„სამწუხაროდ, ხელისუფლებამ, რომელიც მოდიოდა ლოზუნგით, „სისტემა უნდა დაინგრეს“, ამჯობინა ლოზუნგი — „სისტემა უნდა შენარჩუნდეს“! ამ უპრინციპობას საფუძვლად ერთადერთი რამ უდევს — ძალაუფლება ნებისმიერი გზით შეინარჩუნონ, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა“.** ჩვენთვის კი, ამ ორი პარტიის დეკლარირებული პოზიციის გარდა, ცნობილი გახდა, რომ იდეას მხარს უჭერს ინტერპარტიული ჯგუფი, ასევე პატრიოტთა ალიანსი და არასაპარლამენტო ოპოზიციას ნაციონალებისა და ალასანიას პარტიის იმედიც ჰქონია. კარგია, რომ ეს იდეა პირველმა ნინო ბურჯანაძის მესამე ძალად ყოფნის პრეტენზიის მქონე პარტიამ გააჟღერა, თორემ ჩვენ რომ გვეთქვა, იტყოდნენ, თქვენ რა გენაღვლებათ, მაინც ვერ მოიგებდით ვერც ერთ ოლქსო, — გამოგვიტყდა ინტერპარტიული ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი. შუალედური არჩევნები კი ოქტომბერში ორ რაიონში, საგარეჯოსა და მარტვილში ჩატარდება. შესაბამისად, რაკი ოპოზიციაში 10 პარტიაზე მეტი შევთანხმდით, ვინც ჩვენთან ერთად ამ თამაშს არ ითამაშებს, ის ავტომატურად გაშიფრული გამოდისო, — დასძინენ ინტერპარტიულ ჯგუფში. როგორც ჩანს, „ოცნებამ“ ნაციონალებისგან ერთი მთავარი „ანტიოპოზიციური“ პრინციპი ვერ ისწავლა — „დაყავი და იბატონე“ და პრორუსულ-პროდასავლური თუ კონსტრუქციულ-დესტრუქციული ოპოზიცია ერთ ენაზე აალაპარაკა!

## ვერსიანიუსი

## „თუ პოლიტიკურ დონეზე გადაწყდება საქართველოსთვის MAP-ის გადაცემა, საკითხი გამარტივდება“



ნატო-ს ტრანსფორმაციის გაერთიანებული ძალების სარდლის, გენერალ ჟან-პოლ პალომეროსის განცხადებით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება პოლიტიკურ დონეზე მიიღება.

ამის შესახებ საფრანგეთის საჰაერო ძალების გენერალმა ნატო-ს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: **„ჩვენ არ ვიღებთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, თუმცა ვცდილობთ, ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები მაქსიმალურად გავაფართოვოთ. იმედი მაქვს, ვარშავის სამიტზე სახელმწიფოს მეთაურები საქართველოსთან დაკავშირებით მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ვხედავთ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შესწევთ უნარი, ჩაერთონ ნატო-ს ოპერაციებში. ეს მიუთითებს, რომ ქვეყანა უფრო უახლოვდება ნატო-ს სამხედრო სტანდარტებსა და შესაძლებლობებს. მომავალში, თუ პოლიტიკურ დონეზე გადაწყდება საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გადაცემა, ეს საკითხს უფრო გაამარტივებს. სწორედ ასე მოხდა წარსულში სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. ჩვენ აქ ვიმყოფებით, რათა საქართველოს მივცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში, რაც ნატო-სთან პარტნიორობის ერთ-ერთ მიზანია“.**

*„პირველი“*

## შს მინისტრის მოადგილე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი ბერაია საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროექტის განხილვა იყო.

შეხვედრაზე შსს-ს წარმომადგენლებმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას რეფორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია გაუზიარეს, გააცნეს შემდგომი პრიორიტეტები და საჭიროებებიც.

*„ვერსიანიუსი“*

**შავი სათვალით**



# თბილისი — პოლიტიზირებული ქალაქი

ლევან სეფისკვერაძე

თბილისი, საღამოს 8 საათი. ვერის ბაღი. ნარდის თამაშში გართული ვერისბაღელი პენსიონერების წინ სამი ახალგაზრდა კაცი ზის და გაცხარებით მსჯელობს იმაზე, რაზეც აქამდეც ათასჯერ უმსჯელია... „ხო მიეცით ხმა ბიძინას?! ჰოდა, ახლა აგეთ პასუხი, რაც ქვეყანაში მოხდება. მალე რომ დაბრუნდებიან ქურდები და ძველი მინისტრები, მერეც იტყვით, ბიძინა მაგარი კაციაო? თქვენნაირებმა დაანგრიეს ეს ქვეყანა!“ – ამბობს ერთ-ერთი მოკამეთათაგანი და თან ნაწვიმარ ძელსკამზე დაუსველებლად ჩამოჯდომას ცდილობს, რაც ნატო-ში შესვლაზე ადვილი ნამდვილად არაა.

„თქვენ, ყველანი, ერთნაირები როგორ ხართ, ეს „მიშისტები“. ვგიჟდები, კაცო... რა ერთი კაცის გაკეთებულებივით ხართ... ჯვარი ხომ არა გაქვთ დაწერილი ამ მიშაზე და ვანოზე? ყველა მთავრობა უნდა შეიცვალოს – ვინც უნდა იყოს. არ გამოდგება და ბიძინასაც შევცვლით, ბიჭოს...“ – ეპასუხება სათვალიანი, კოსტუმი მხარზე რომ გადაუგდია გასული საუკუნის 50-იანი წლების იტალიელი კინოგმირივით. მესამე ყველაზე ნაკლებად აქტიურობს და მხოლოდ მაშინ იღებს ხმას, როდესაც მისი „ბიძინისტი“ მეგობარი არგუმენტებს საჭიროებს. კამათი კი არის ცხელი და ქარიშხლიანი. ისეთი, ნარდის თამაშში გართული პენსიონერების ყურადღებასაც რომ იპყრობს.

ერთ-ერთი მოხუცი მონარდეთაგანი თავს ანებებს მეგობრების თამაშის ცქერას და მოკამათე ახალგაზრდებთან მიდის. „სადაური ბიჭები ხართ?“ – კითხულობს. სამივ თბილისელა. გარეუბნელი. მეგობრები... „ბოდიში, თქვენი ჭირიმე, ასე რომ მოგეჭერით, მაგრამ ერთი რაღაც მინდა გკითხოთ... თქვენ თუ იცით, გივი გუმბარიძე ვინ იყო?“. ბიჭებმა, რასაკვირველია, იციან საქართველოს ცეკა-ს უკანასკნელი მდივნის ვინაობაცა და რაობაც. „აბა, თუ იცით, მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ყველაზე დემოკრატი მმართველი ეგ კაცი გამოდის საქართველოს ისტორიაში. კაცმა არჩევნები წააგო და წავიდა თანამდებობიდან. მეტი დემოკრატიული რაღა უნდა ექნა? ჰოდა, აქ ერთი რომ ამბობდა, მიშა დემოკრატია, არჩევნები წააგო და წავიდაო, მაგაზე გამახსენდა ეს გუმბარიძეც. მთავარი ის კი არაა, არჩევნების დროს როგორ „ლამაზად“ მიდის კაცი (ან მიდის თუ არა – ეგეც საკითხავია), მთავარია, არჩევნებამდე რას აკეთებს და რატომ გაუხდა წასასვლელი. ხომ გასაგებად ვამბობ, ბიჭებო?“

ბიჭები გაყურსულები სხედან და თავს უქნევენ – გავიგეთო. „ყველას რომ მოგვწონდეს, ისეთი პარტია არ არსებობს და ალბათ, არც იარსებებს, მაგრამ როცა მთავრობა „მიქარავს“, ხომ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ „მიქარავს?“ დედის გინება საქმეს რომ შველოდეს, იცოცხლე, კარგი იქნებოდა, მაგრამ არჩევნებზე უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ჰოდა ახლა, ყველამ მივხედოთ ჩვენს საქმეს. აი, ეგაა რა...“ – როგორც იქნა, მოაბოლოვა მოხუცმა სათქმელი. ძელსკამზე მჯდომმა ორმა მოკამათე ბიჭმა სკამის კიდესკენ ჩაიჩოჩ-ჩამოიჩოჩა – შუაში ჩაგვიჯექი, ძიაკაცო, კარგი რამეები თქვი შენო. მაგრამ მოხუცი არ გაჩერდა. ახლა ნარდში ჩემი თამაშის რიგია და უჩემოდ დაიწყებენო...

საღამოს, მეტროსთან მდებარე მაღაზიის წინ, ორი 20 წლამდე ბიჭი სიგარეტს ეწეოდა. ერთს „ქართული ოცნების“ გვარიანად შელახული თეთრი ფერის მაისური ეცვა. „დროში ჩარჩი, ბიჭო“, — დასცინოდა მეგობარი. სავალუტო ჯიხურთან აზრა ციმციმებდა. ლარი 1 თეთრით იყო გამყარებული!

**ოპოზიცია**

# აკაკი ასათიანის პოლიტიკური პროგნოზები

## ვინ იქცევა ქინდერ-სიურპრიზად „ოცნებისთვის“ და რა შეიცვლება რეგიონში უკრაინაში სააკაშვილის გაპრემიერებით



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ტრადიციონალისტების“ ლიდერი აკაკი ასათიანი ბოლო წლებში, მასმედიასთან სულ უფრო ნაკლებად ჩნდება. ამის მიზეზი, პირადი პრობლემების გარდა, ახალი პარტნიორების ძიებაცაა. ჯერჯერობით, მომავალ გეგმებს ვერ აკონკრეტებს, მაგრამ იმედოვნებს, რომ რამდენიმე კვირაში გააქტიურდება. ამიტომ აქტუალური მოვლენების შეფასება მისგან კიდევ უფრო საინტერესოა — მისი აზრით, ირაკლი ალასანია პროდასავლურ პოლიტიკურ ორბიტაზე ლიდერი გახდება, მიხეილ სააკაშვილს უკრაინის პრემიერ-მინისტრად დანიშნავენ, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას რეალურად დაძაბავს, ნაციონალები კი 10%-ს აიღებენ და ამით სიის პირველ ორ ათეულ ლიდერს დაჭერისგან იხსნიან. აკაკი ასათიანთან საუბარს ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ცვლილებებით ვიწყებთ.**

— მზა პასუხი, რა შეუძლია და ამ მოკლე დროში, რას მოასწრებს ნაციონალებისგან გამოყოფილი ოთხეული, არ არსებობს. ეს პარტიის დაშლას არ ნიშნავს, ეს ფაქტია. საკითხავია, რა ადგილი დარჩა ამ ახალი პროდასავლური ძალისთვის ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში. მეეჭვება, რომ ასეთი ადგილი საერთოდ დარჩა, თუმცა რაც შეეხება ოთხეულის პრეტენზიას, გარკვეული ცენტრის შექმნის შესახებ — რატომაც არა?! არის პარტიები, ვინც იგივე კურსსა და მიმართულებას მიჰყვება, მაგრამ დიდი პერსპექტივები არ უჩანთ. შესაძლოა, მათ ერთმანეთი გამოიყენონ.

**— სააკაშვილისა და პარტიის ურთიერთობაზე რას იტყვით — როგორ ფიქრობთ, ლიდერმა შეაქცია ზურგი პარტიას თუ პარტიამ — ლიდერს?**

— სააკაშვილისთვის ზურგის შექცევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იგი ნაციონალური მოძრაობის ემბლემაა. რაც ამ პარტიას ამომრჩეველი ჰყავს, ბევრი თუ ცოტა, მთლიანად სააკაშვილის ამომრჩეველია. ასე რომ, არა მგონია, მისგან ზურგშექცევა გამოუვიდეთ. სააკაშვილს რაც შეეხება, გადარეულია, თორემ, ისე ნიჭიერი კაცია. მიხვდა, რომ არჩევნების გზით, უახლოეს მომავალში, საქართველოში დაბრუნება გამორიცხულია. ნაციონალები 40%-ს ვერ აიღებენ, ამიტომ ვფიქრობ, სააკაშვილის მხრიდან, ოდესის გუბერნატორობა შემოვლითი მანევრია. მეტიც, უკვე განხილვის თემაა უკრაინაში და რუსებიც ერთ ამბავში არიან, რადგან სააკაშვილს უკრაინის პრემიერ-მინისტრობა სურს. ამაზე მართლაც მიდის საუბარი.

**— და რას შეცვლის ეს შემოვლითი მანევრი ჩვენთვის, უკრაინისთვის, რუსეთისთვის?**

— პრემიერი რომ გახდეს, დიდს ვერაფერს შეცვლის. თუმცა ფაქტია, თავად უკრაინაში გამწვავდება ვითარება, რუსეთთანაც გაუმწვავდება ურთიერთობა. აი, ჩვენი და უკრაინის ურთიერთობა კი ამჯერად ნამდვილად გაუარესდება. თუ სურთ, ასეთი ეფექტი მიიღონ, ეს უკვე სხვა საქმეა.

**— ამდენი უარყოფითი ეფექტის მიუხედავად, რატომ არ ეთმობათ სააკაშვილი?**

— ის დასავლეთისთვის ყოველთვის კარგი შემსრულებელი იყო და იმიტომ. ჩვენ კი საქართველოში ისევ მამლუქობის გზაზე დავბრუნდით.

**— მამლუქობისა რა გითხრათ, რესპუბლიკელების აღზევების ხანაში კი დავბრუნდით. მოვლენების ასე კარდინალურად შემობრუნებას ამ პარტიისთვის რას უკავშირებთ?**

— ასე რატომ მოხდა, ეს ისევ ბიძინა ივანიშვილს უნდა ვკითხოთ, რადგან მსგავს გადაწყვეტილებებს ისევ ის იღებს, თუმცა რესპუბლიკელებთან პრეტენზიები არ მაქვს და დიდად არც სხვისი პრეტენზიები მესმის. დავით უსუფაშვილი წესიერად უძღვება პარლამენტს, თინა ხიდაშელი აქტიური ადამიანია, ევროპული პრინციპებისა და ნატო-სთან დაახლოების მომხრეა და თავდაცვის სამინისტროში მისი დანიშვნა სწორია. სხვაზე ნაკლებს არ გააკეთებს, მეტს თუ არა. თან ქალი თავდაცვის მინისტრი კარგად ჩანს, ევროპულად. კი ბატონო, მთავრობაშიც არიან და პარლამენტშიც, მაგრამ აშავებენ რამეს? ვინც მათი წინააღმდეგია, ვკითხოთ, რას აშავებენ?! მგონი, არაფერს, თანაც თავიანთი პარტიის გაძლიერებას ცდილობენ.

**— ცხადია, ყველა თავის პარტიას აძლიერებს, მათ შორის, ალასანია. ნაციონალების დასუსტების, ახალი „ცენტრისა“ ხელისუფლების რეიტინგის დაკარგვის ფონზე, რა ახალ გადალაგებას მივიღებთ წინასაარჩევნოდ?**

— ჩემი აზრით, დღევანდელი მოცემულობით, პროდასავლურ პოლიტიკურ სპექტრში, ლიდერი ირაკლი ალასანია გახდება. მას აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კონსტრუქციული ტიპია და ავანტიურისტიც არ არის. სულაც არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებულია, რადგან სხვებივით არ იგინება და სოლიდურად იქცევა. ჩვენი ამომრჩეველი ამას რამდენად დაინახავს და გაიგებს, სხვა საქმეა. ნაციონალებს წყალიც რომ შეუდგეთ, დასავლეთზე „ღრმად ორიენტირებულ“ ამომრჩეველს სხვა გზა აღარ რჩება, ის ხმას ირაკლი ალასანიას მისცემს. თუმცა ნაციონალებმა მიდგომა აუცილებლად უნდა შეცვალონ. იმდენს თუ შეძლებენ, 10-15% აიღონ, მაშინ სიის პირველი პირები ის ადამიანები იქნებიან, ვინც დაპატიმრებებს უნდა გადაურჩეს.

**— შედარებით გააქტიურდა არასაპარლამენტო ოპოზიციაც, თუმცა მათ ხელისუფლება იგნორს უკეთებს და მნიშვნელოვანი საარჩევნო ცვლილებები 2020 წელს გადააქვს. რატომ, რას აკეთებს ეს ხალხი არასწორად?**

— ხელისუფლებას ძალიან უცნაური პასუხი აქვს — ოპოზიციას ეუბნება, თქვენი შემოთავაზება კარგია, მაგრამ მერე ვიზამთ, 2020 წელსო. თუ კარგია და ეთანხმებიან, მაშინ რატომ არ აკეთებენ, გაუგებარია. თუმცა რასაც ინტერპარტიულ ჯგუფს ვუყურებ, ასე, ბევრს ვერაფერს მოახერხებენ. ისიც გამიკვირდა, „ოცნებამ“ საერთოდ რომ უპასუხა. ისე, „ოცნება“ იმდენს თუ ვერ ხვდება, რომ რაღაც უნდა შეცვალოს, სერიოზული პრობლემები შეექმნება.

**— ვინ შეუქმნის, ოპოზიცია, რომელიც ბევრს ვერაფერს ახერხებს თუ ხალხი, რომელსაც საარჩევნო კოდექსი ნაკლებად აინტერესებს?**

— „ოცნება“ სწორედაც ხალხთან და საკუთარ დაპირებებთან მოდის წინააღმდეგობაში. „ოცნებას“ პრობლემები ხალხთან ექნება და არა პარტიებთან. როგორც ივანიშვილი იყო სიურპრიზი ნაციონალებისთვის, ისე კაცმა არ იცის, 2016 წელს „ოცნებას“ რა ქინდერ-სიურპრიზი ელის. თან, ხომ გესმით, თანდათან ნაციონალების აქტუალობა ქრება და „ოცნების“ არგუმენტი, რითაც ხალხს აშინებდა, ჩვენ თუ არ ვიქნებით ხელისუფლებაში, ნაციონალები დაბრუნდებიანო, აღარ იმუშავებს.

**— ამ დროს, ძალიან დიდი თავისუფალი ნიშა არსებობს, რასაც ყველა გამოკითხვა ადასტურებს — ხალხის უდიდეს ნაწილს არც ერთი მოქმედი პარტია არ მოსწონს. ეს ახალი ძალის მოლოდინით აიხსნება?**

— ეს თავისუფალი ნიშა ასეთი დიდი არასოდეს ყოფილა. თან იმის გამოცდილება უკვე გვაქვს, რომ შესაძლოა, ეს „არავინ“ უცებ, ვიღაც აღმოჩნდეს და იყოს ახალი ან კარგად დავიწყებული ძველი ძალა. ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო პროცესებში თუ არ ჩაერთო, ვფიქრობ, „ოცნება“ 50%-ს ველარ აიღებს. მისმა გავლენამაც დაიკლო, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს იმის რესურსი, რომ „ოცნება“ პირველ ადგილზე გავიდეს.

**— შესაბამისად, ამ ფონზე, ვადამდელმა არჩევნებმა აქტუალობა დაკარგა.**

— თავისთავად! მე თუ მკითხავთ, ეს აქტუალური არც არასდროს ყოფილა. ვინ გეგულებათ მოქმედ პარლამენტში ისეთი, ვინც ვადამდელ არჩევნებზეა წამსვლელი? ახლა მით უმეტეს. თან არჩევნებამდე 1 წელი დარჩა და ამის გაცხოველებულ მოთხოვნას ვერც ხალხში ვხედავ.

**ვერსიანიუსი**



# შსს-მ დეპუტატ გიორგი კანდელაკის გაქურდვის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გიორგი ნ. დეპუტატ გიორგი კანდელაკის გაქურდვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 8 ივნისს, დღის საათებში, თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, გიორგი კანდელაკს მისი კუთვნილი „ნისანის“ მარკის ავტომობილის სალონიდან „ეფლის“ ფირმის პორტატიული კომპიუტერი და პირადი დოკუმენტები მოჰპარა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა გიორგი ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას დაზარალებულის კუთვნილი კომპიუტერი და პირადი საბუთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# დავით ონოფრიშვილი: „სამართლიანობის აღდგენა რამდენიმე ფიზიკური პირისა და კომპანიისთვის ქონების დაბრუნებით შემოიფარგლა!“



## ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ლარის კურსის დევალვაციის გამო და რა ეკონომიკური პროცესი მიმდინარეობს ქვეყანაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**11 ივნისს, „თავისუფალი დემოკრატები“ ეკონომიკური განვითარების საკუთარი ხედვის პრეზენტაციას გამართავენ. ამჟამად უცნობია, კონკრეტულად, სად ან რაში ხედავს ირაკლი ალასანიას ეკონომიკური გუნდი გამოსავალს ან როგორ აპირებენ ლარის კურსის დასტაბილურებას. თუმცა „ვერსიასთან“ ინტერვიუში, საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი, დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ მათი ეკონომიკური ხედვა რეალურად შეესაბამება საქართველოში არსებულ მდგომარეობას. „თავისუფალი დემოკრატების“ ახალი ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციამდე, დავით ონოფრიშვილი ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს და ამ პროცესებზე პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობას აკისრებს.**

**— ბატონო დავით, რამდენად სწორია საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა საქართველოს ეროვნული ბანკიდან?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით, „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია ცალსახაა — ეს ძალიან დიდი შეცდომაა. კანონპროექტში არ ჩანს არგუმენტები, რატომ უნდა გამოეყოს საბანკო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს. არადა, ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ ბანკების ზედამხედველობაა! არგუმენტად არ გამოდგება, რომ ზოგ ქვეყანაში ასეთი სამსახურები ცალკე სტრუქტურებს წარმოადგენს, რადგან ისტორიულად, იმ ქვეყნებში თავიდანვე ასე ჩამოყალიბდა — საბანკო ზედამხედველობის სამსახური ცენტრალური ბანკის შემადგენლობაში არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ბევრ ქვეყანაში ეს სისტემა ერთიანია და ამ ტიპის სამსახურები ცენტრალური ბანკების შემადგენლობაშია. ზოგადად, ეს საკითხი ერთ ადამიანთან, კერძოდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ბრძოლას ჰგავს, რომელსაც ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება. თუმცა იმის გამო, რომ როგორც ქადაგიძემ განაცხადა, თებერვლამდე არ გადადგება, სამწუხაროდ, ხელისუფლება ეროვნული ბანკის, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი მყარი ინსტიტუციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებს. საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფით, ეროვნული ბანკი დასუსტდება და ამას დიდი ალბათობით არაპროგნოზირებადი პროცესები მოჰყვება. ფაქტი, რომ საბანკო ზედამხედველობის სამსახური დამოუკიდებელი სტრუქტურა იქნება და მის ხელმძღვანელობას პარლამენტი შეარჩევს, ეროვნული ბანკის ფუნქციებში ჩარევაა, რაც რთულ შედეგებამდე მიგვიყვანს. კანონპროექტის ავტორებს, თამაზ მეჭიაურსა და ნოდარ ებანოიძეს, ასევე მათ, ვინც ამ იდეას მხარს უჭერს, ვურჩევ, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც მოუსმინონ. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკ „იბიარდის“ სპეციალისტებს, რომლებიც ამ სფეროს სერიოზული ექსპერტები არიან. ფაქტია, ეს არის ნაჩქარევი და დაუფიქრებელი იდეა, რაც ჩვენი ქვეყნის ფინანსურ ბაზარს სერიოზულად დააზიანებს. ასეთი იდეები არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორებსაც კითხვას გაუჩენს — ადეკვატურია მთავრობის ქმედება? ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, რომ დღეს საქართველოში ერთ-ერთი დამოუკიდებელი ინსტიტუცია ეროვნული ბანკია. შესაძლოა, მან შეცდომები დაუშვა და გამორიცხული არაა, მომავალშიც დაუშვას, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, სხვა ტიპის მკაცრი კონტროლი და სხვა მექანიზმები უნდა შემოვიღოთ. რადიკალური ჩარევა მის საქმიანობაში ქვეყანას დააზარალებს.

**— კანონპროექტს წინ უძღვოდა „ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები, რომლებიც ლარის კურსის დევალვაციაში ეროვნულ ბანკსა და საბანკო სექტორს ადანაშაულებდნენ. თქვენი აზრით, ლარის დევალვაცია საბანკო სექტორის ბრალია?**

— თუ ლარის გაუფასურებაში ვინმეა დამნაშავე, ეს საქართველოს მთავრობაა, რომელმაც მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში მიმდინარე პროცესები სათანადოდ ვერ შეაფასა. 2014 წლის დეკემბერში, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი მივიღეთ, რომელიც 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზე იყო გათვლილი. არადა, ერთ კვირაში, ამავე მთავრობის მიერ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი შემოვა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას 2%-მდე ამცირებს და შესაბამისად, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც შემცირდება. ბიუჯეტის ამგვარი შემცირების ფონზეც პრიორიტეტები სწორად უნდა განისაზღვროს. ჯერ არ ვიცით, რეალურად, რას და როგორ ამცირებენ, მაგრამ ცხადია, ეს შემცირება სოციალურ სფეროს, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურას არ უნდა შეეხოს. ბიუჯეტში საკმარისადაა გაბერილი მუხლები, მათ შორის, ბიუროკრატიული აპარატის, მთავრობისა და ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც ნამდვილად უნდა შემცირდეს. აქედან გამომდინარე, ხელის გაშვერა მხოლოდ ეროვნული ბანკისკენ, სწორი არ არის. ვერ ვიტყვით, რომ ეროვნული ბანკი სრულიად უდანაშაულოა, მაგრამ მისი დანაშაული მთავრობისაზე ბევრად მცირეა. ლარის დევალვაცია, რამაც ხალხის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია და რის გამოც ეკონომიკური ზრდა შემცირდა, ვიღაცას უნდა დაბრალდეს. მთავრობას არ სურს, დაიბრალოს და ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტი „გამონახა“. საბოლოოდ კი, ის, რაც ხელისუფლებამ დაგეგმა, კონკრეტული ადამიანის, გიორგი ქადაგიძის წინააღმდეგ კი არა, ეროვნული ბანკის, როგორც ამ ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტის საწინააღმდეგოდაა მიმართული.

**— ეკონომიკური თვალსაზრისით, რა პროცესი მიმდინარეობს ქვეყანაში და რამდენად ადეკვატურია მთავრობის ქმედება ამ მხრივ?**

— თავის დროზე, როდესაც 2015 წლის იანვარში 1 აშშ დოლარი 2 ლარს უახლოვდებოდა, განვაცხადეთ, რომ მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის მეტი კოორდინაცია იყო საჭირო. კოორდინაცია მოგვიანებით შედგა, მაგრამ დასაწყისში არ ჩანდა, რადგან მთავრობისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ. მხოლოდ მაშინ შეშფოთდნენ, როცა 1 აშშ დოლარი 2 ლარს მიუახლოვდა, მაგრამ ხელისუფლების რეაქცია დაგვიანებული იყო. სწორედ ამ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო მთავრობის სამოქმედო გეგმა, რასაც ჩვენი პარტია თავიდანვე ითხოვდა. ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ ჩვენც მზად ვიყავით. მეტიც, მთავრობას გარკვეული ღონისძიებები შევთავაზეთ კიდეც, სადაც ერთ-ერთი ნაწილი ბიუჯეტის შემცირების პროექტის დროული განხილვა იყო. ახლა, როდესაც ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი პარლამენტში შემოვა, ეს უკვე დაგვიანებულია. მიმდინარე თვე კორექტირებული ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცებას დასჭირდება, რეალურად, 6 თვე უკვე გავიდა და ამ პერიოდში, ბიუჯეტიდან ნახევარი წლის ხარჯი გაწეულია. მთავრობა კი გვეუბნება, რომ საბიუჯეტო ხარჯი შეამცირა, მაგრამ ფაქტია, ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი დარჩენილ 6 თვეზეა გათვალისწინებული.

ლარის დევალვაციის დასასტაბილურებლად მთავრობამ საკომიტეტო მოსმენაზე პრეზენტაციული გეგმა წარმოადგინა, ვგულისხმობ პრივატიზების პროცესის დაჩქარებასა და ინვესტორების ხელშემწყობ ღონისძიებებს. ისიც აღიარეს, რომ უცხოელებზე მიწის მიყიდვისა და სავიზო რეჟიმთან დაკავშირებული კანონების მიღება შეცდომა იყო. ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის სიმცირე მოჰყვა, ხელისუფლებას საერთოდ არ უნდა გადაედგა, ანუ ეს კანონები არ უნდა მიგვეღო. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით, უსაფრთხოების ზომები არ უნდა გაგვეტარებინა, მაგრამ კანონები ერთი ხელის მოსმით, ყველა უცხოელზე არ უნდა გავრცელებულიყო. ეს ის პრობლემებია, რომლებიც მთავრობამ ადეკვატურად ვერ შეაფასა. მეტიც, ხელისუფლება სუსტია და საგარეო შოკებისგანაც ვერ დაიცვა ქვეყანა. რეალურად, პატარა ქვეყნები გარეშოკების მიმართ სენსიტიურები არიან, მაგრამ მთავრობას ყოველთვის უნდა ჰქონდეს კონკრეტული გეგმები, სხვადასხვა ფინანსური ღონისძიებებით მათ მოსაგერიებლად. ასეთი კონკრეტული გეგმა არ არსებობდა და არც დღეს მგონია, არსებობდეს. მხოლოდ კონკრეტულო პრობლემების დაფიქსირების შემდეგ ატყდა აჟიოტაჟი. ასეთი მიდგომა არასწორია.

**— რას ნიშნავს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ გიორგი ქადაგიძის წინააღმდეგ, რომელსაც ქართუ ბანკის გაკოტრებას აბრალებდა, პროკურატურაში სარჩელი არ შეიტანა, რადგან სსფ-ს მისიის ხელმძღვანელმა ეს პირადად სთხოვა?**

— როგორც წესი, თანამდებობის პირებს შორის კერძო საუბრის შინაარსი არ მჟღავნდება. ასეთი საუბრის გასაჯაროება მიუღებელია, თუ ორივე მხარე არ შეთანხმდა.

**— ქვეყანაში სავალუტო კრიზისია, ეკონომიკური კრიზისის ნიშნები თუ ეკონომიკური სტაგნაცია?**

— ეს არის კლასიკური სავალუტო კრიზისი, რაც ლარის კურსის გაუფასურებაში გამოიხატა. ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაგრამ თუ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს არ გადადგამს, შესაძლოა, ამის წინაპირობაც იყოს. ამიტომ უნდა გააქტიურდეს მუშაობა ინვესტორებთან კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად. მთავარი ის კი არ არის, მთავრობის რომელიმე წევრი ვის შეხვდა და რა მემორანდუმი გააფორმა, არამედ, რა პროექტები ხორციელდება, სად აბანდებენ ინვესტორები ფულს და როდის დაიწყება ან დასრულდება ესა თუ ის პროექტი. ინვესტორებისთვის საქართველო ყოველთვის საინტერესო ქვეყანა იყო, როგორც ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ასევე ტურიზმის მიმართულებით. მთავარია, რამდენად ხელსაყრელ პირობებს ქმნის მთავრობა ინვესტორებისთვის, რამდენად სჯერათ ინვესტორებს, რომ ხელისუფლება ადეკვატურია და არის თუ არა ამ ქვეყანაში მაკროსტაბილურობა გარანტირებული. „ქართული ოცნების“ პროგრამა 20/20-ის მიხედვით, საქართველოში მაკროსტაბილურობა გარანტირებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს სტაბილურობა სავალუტო კრიზისმა დაარღვია. ამ ვითარებაში კი არა მარტო ინვესტორები, ადგილობრივი ბიზნესმენებიც ახალ რეალობას უნდა მოერგონ. ინვესტორებსაც და ადგილობრივ ბიზნესსაც მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს — რა მოხდება ქვეყანაში სავალუტო თუ ფისკალური სტაბილურობის მხრივ, ამიტომ ამ მიმართულებით, ხელისუფლების უსიამოვნო სიურპრიზებს ისინი ნეგატიურად აღიქვამენ. 2016 წელს ქვეყანაში არჩევნები უნდა ჩატარდეს, საარჩევნო წელს კი ინვესტორები სერიოზული ინვესტიციებისგან თავს იკავებენ და ძირითადად, მიმდინარე პროექტების განხორციელებით იფარგლებიან. რეალურად, მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩა, ახალი ინვესტორები გამოჩნდნენ. ვნახოთ, რამდენად შედეგიანი იქნება ხელისუფლების ძალისხმევა, თუნდაც „იბიარდის“ ყოველწლიური ბიზნესფორუმის საქართველოში გამართვის შემდეგ. ფაქტობრივად, ამ სამი წლის განმავლობაში, ინვესტიციების ნაწილში, ბევრი საკითხი ჩავარდა. ინვესტორებთან შეხვედრები იმართებოდა, სხვადასხვა ფონდის საშუალებით გარკვეული პროექტებიც დაფინანსდა, მაგრამ ბევრად მეტი შესაძლებლობა გვქონდა, ვიდრე რეალურად განხორციელდა.

**— სსფ-მ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური მიმოხილვა გამოაქვეყნა, რომლითაც ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ეკონომიკური ზრდის შემცირება 2016 წელსაც გაგრძელდება, რასაც საპარლამენტო არჩევნებიც დაემატება. როგორ გგონიათ, ეკონომიკური მიმართულებით რა გველის გაისად?**

— უახლოესი წლების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ფინანსური ინდიკატორების გეგმა პარლამენტში ახლა შემოვიდა. უკვე ფაქტობრივი მაჩვენებელია, რომ 2013 წელს ეკონომიკური ზრდა 3.3% იყო, 2014-ში — 4.8%, 2015-ში — 2%, 2016 წელს კი 3% იქნება. ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, საშუალო ეკონომიკური ზრდა, დაახლოებით, 3.3%-ის ფარგლებში იქნება, რაც ძალიან დაბალი პროცენტია. ფაქტია, ამ მაჩვენებლით, ბევრი სერიოზული დაპირება ვერ შესრულდება! როდესაც კოალიცია ქართული ოცნება და მათ შორის მეც, ხელისუფლებაში მოვდიოდით, ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური გეგმა, დაახლოებით, 5-6%-ის ფარგლებში დავგეგმეთ. ფაქტობრივად, თავისი მმართველობის ოთხწლიან პერიოდს, „ოცნება“ ეკონომიკური ზრდის განახევრებული მაჩვენებლებით დაასრულებს, რაც საკმაოდ ცუდი შედეგია. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას სატრაბახო ნამდვილად არაფერი აქვს, რადგან, როდესაც ეკონომიკური ზრდა ასეთი მცირეა, არც ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება და არც სერიოზული სოციალური დახმარებები გაიცემა. სწორედ ამიტომ ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“, ვაპირებთ, 11 ივნისს ეკონომიკური განვითარების გაცილებით ადეკვატური ხედვა წარმოვადგინოთ, სადაც სულ სხვა ციფრებს შემოგთავაზებთ.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში ბიზნესი დაცულია?**

— ის აღარ ხდება, რაც ნაციონალების დროს ხდებოდა, ეს ნიშნავს, რომ ბიზნესს არავინ ერჩის! ყველამ კარგად იცის, ამის გამო, მთელი რიგი მაღალჩინოსნები გაათავისუფლეს კიდეც რამდენიმე თვის წინ. სამწუხაროდ, პრევენცია არ განხორციელებულა ანუ გარკვეულ კანონებში ცვლილებები არ შეუტანიათ, რაც ბიზნესის დატერორებას კატეგორიულად აკრძალავდა. ის ხალხიც კი, ვინც წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესს ავიწროებდა, ამა თუ იმ სტრუქტურებში ახლაც მუშაობს. „თავისუფალი დემოკრატების“ ამოცანაა, კანონმდებლობა შევცვალოთ, რათა ბიზნესის დატერორების საკანონმდებლო შესაძლებლობა აღარ არსებობდეს. ისინი კი, ვინც ბიზნესმენებს ავიწროებდნენ, უნდა დაისაჯონ! საზოგადოებამ იცის, ბევრი ასეთი მოხელე არ დასჯილა. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, პროკურატურასა და სხვა, შესაბამის უწყებაში უამრავი საჩივარი შევიდა, თუმცა სამწუხაროდ, ამ სამი წლის განმავლობაში, სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ხუთიოდე მანქანის, რამდენიმე ფიზიკური პირისა და კომპანიისთვის ქონების დაბრუნებით შემოიფარგლა!

## ვერსიანიუსი

### ლუდის მწარმოებლები მთავრობას აქციზის გაზრდის გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებენ



ლუდის მწარმოებელი კომპანიები მთავრობასა და ფინანსთა სამინისტროს მოუწოდებენ, შეცვალოს გადაწყვეტილება ლუდის აქციზის 50%-ით გაზრდასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ძალაში 2015 წლის 1 მარტს შევიდა. ლუდის ბაზრის ლიდერი ბიზნესორგანიზაციები ერთხმად აცხადებენ, რომ წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით წელს, მარტი-აპრილის პერიოდში, გაყიდვების მაჩვენებელი 40-ზე მეტი პროცენტით შემცირდა, რაც კომპანიების საქმიანობასა და მთლიანად ლუდის ინდუსტრიაზე ნეგატიურად აისახა. კომპანიების წარმომადგენლების აზრით, ისეთი მზარდი და წარმატებული სექტორისთვის, როგორიც ლუდის წარმოებაა, სადაც ბაზრის 97%-ს ადგილობრივი ბიზნესი იკავებდა, ასეთი რეგულაციის შემოტანა, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი პერსპექტივით საზიანოა და ეს ზიანი სხვა დარგებზეც სავალალოდ აისახება. კომპანიები მოითხოვენ მთავრობის, პარლამენტის და უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსგან, დროულად დაიწყოს ხელისუფლებისა და ინდუსტრიის წარმომადგენელთა მოლაპარაკებები, რეგულაციის გაუქმებისა და ლუდის ბაზრის განვითარების მექანიზმების შემუშავებისთვის. კომპანიები მიიჩნევენ, რომ მოლაპარაკების და კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთონ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, მედია და ექსპერტებიც, რათა ყველა აქტივობა გამჭვირვალედ წარიმართოს და მოხდეს საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფების გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ლუდის მსხვილმა მწარმოებელმა კომპანიებმა 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში განახორციელეს ინტენსიური საკომუნიკაციო კამპანია „არ გამიძვირო ლუდი!“, რომლის მიზანი აქციზის გადასახადის ზრდის გადავადება ან გაუქმება იყო. კამპანიის განმავლობაში ჩატარდა კვლევა, გაიმართა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, შეიქმნა ელექტრონული და საინფორმაციო მასალები, რომლებიც გავრცელდა ტრადიციული მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. თუმცა, მთავრობამ არ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება და არ წავიდა კომპრომისზე ადგილობრივ ბიზნესთან.

*„პირველი“*

პატიმარი №0578

# სისხლიანი გარჩევა მეგობრებს შორის



„თუ გიორგი ოქროპირიძეს ნაფიცი მსაჯულები გაამართლებენ, ეს იქნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კრახი. ჩემი შვილი გიორგი ოქროპირიძემ მოკლა და ეს მთელმა თბილისმა იცის“, — ამ განცხადების ავტორი მოკლული ლაშა მახარაძის დედაა.

ის, რომ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი პროცესი შესაძლოა ყველასთვის მოულოდნელი სცენარით დასრულდეს, ყველამ იცის. ისიც ყველამ იცის, რა მოხდა რეალურად. როგორც ამბობენ, გარდაცვლილის დედა უფრთხილდება შვილის მეგობრებს, რომლებიც იმუქრებიან, რომ გამართლების შემთხვევაში, ოქროპირიძეს შესაბამის განაჩენს თავად გამოუტანენ. და მაინც, რა მოხდა იმ საბედისწერო ღამეს?! ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, ლაშა მახარაძის მკვლელობასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ამბავს, რომელზეც მთელი თბილისი ლაპარაკობს და რასაც არაოფიციალურ საუბრებში მახარაძისა და მისი მეგობრის, თენგო ერისთავის ძმაკაცები ჰყვებიან.

90-იან წლებში თბილისში „სამართალს“ მხოლოდ იარაღით პოულობდნენ. მთავარი ის კი არ იყო, ვინ გახლდათ მართალი, არამედ ის, ვის ჰქონდა იარაღი და ვინ ვის დაასწრებდა გასროლას.

ზურა და ჯაბა ბავშვობის მეგობრები იყვნენ. ზურა წიგნებს თავს აკლავდა, ექიმი უნდა გამოვიდეო, ჯაბას კი იოლად ნაშოვნი ფული ხიბლავდა, არც ბინის ქურდობაზე ამბობდა უარს და არც მანქანების მოპარვაზე. სწორედ ამ მიზეზით, ციხეში მოხვდა და იქ ოთხი წელი გაატარა. ციხეში მოხვდა ზურას ძმაც, ზაზა და ის და ჯაბა ერთმანეთს პატრონობდნენ. მათი უბნელი გიორგიც იქ იხდიდა სასჯელს, ოღონდ ამათგან განსხვავებით, სასამართლო მკვლელობას ედავებოდა. მოკლულის მეგობრები გიორგის ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ, მაგრამ ზაზამ ყველას უთხრა, ეს ბიჭი ჩემი უბნელია და სანამ მე აქ ვარ, ხელი არავინ შეახოსო. ასე გაგრძელდა წლები და ბოლოს ისე მოხდა, რომ ბიჭები ერთი-მეორის მიყოლებით გამოვიდნენ ციხიდან, თუმცა ზაზა ავარიით დაიღუპა.

დღემდე არავინ იცის, რა მოხდა ჯაბას და გიორგის შორის, მაგრამ ფაქტია, წლების შემდეგ მათ ღამის კლუბში იჩხუბეს და ჯაბამ გიორგი გვარიანად სცემა. ამის შემდეგ საერთო ნაცნობებმა ჯაბა გააფრთხილეს, გიორგი მოსაკლავად დაგდევს და გაფრთხილდიო, რაზეც ჯაბამ გულიანად იცინა. ზურა ამ ყველაფერს შორიდან უყურებდა და ცდილობდა, ჯაბა და გიორგი შეერიგებინა, მაგრამ ამის სურვილი არც ერთს ჰქონდა.

ჩხუბიდან ორი თვე იყო გასული, როცა ზურამ ჯაბა სახლამდე მიიყვანა მანქანით, ჩამოსვა და მეორე დღეს შეხვედრაზე შეთანხმდა. ჯაბა სადარბაზოში შევიდა, ზურამ მანქანა დაძრა, მაგრამ ათი მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, გასროლის ხმა გაიგო. ერთი, მეორე, მესამე... სულ შვიდჯერ გავარდა. ზურა საჭესთან გაიყინა, მაგრამ დროზე მოეგო გონს, მანქანიდან გადახტა და სადარბაზოში შევარდა. გზად ისიც დაინახა, როგორ გარბოდა ვიღაც ბიჭი თავქუდმოგლეჯილი და ერთი გაფიქრება გაიფიქრა — „გიორგის ჰგავს!“

სადარბაზოში სიბნელე იყო, ზურამ სანთებელა აანთო და ჯაბა დაინახა. ფეხზე იდგა, უცნაურად იღიმოდა და ზურას დანახვაზე ჩუმად თქვა — „ყველა ამცდა“.

ხმაურზე მეზობლები მოგროვდნენ, სადარბაზო განათდა, პოლიცია მოვიდა და კუთხეში დაგდებული იარაღი იპოვა. მჭიდი ბოლომდე იყო დაცლილი, ტყვიები კედლებში იყო ჩაჭედილი და პოლიციელსაც გაეღიმა, შენ ინგამ ხომ არ გესროლა, შვიდივე რომ აგაცილაო. ამ ხუმრობაზე ყველას გაეცინა, გარდა ზურასი და ჯაბასი — მათ გიორგის იარაღი იცნეს.

„შენ კიდევ მეუბნები, შეურიგდიო. ღამე რომ არ ყოფილიყო, მკლავდა ეგ ბოზი. სიგარეტი დამივარდა რომ შევედი, დავიხარე, სანთებელის ანთება მინდოდა, მაგ დროს გავარდა პირველი და შოკისგან არც გავნძრეულვარ. ზუსტად იცოდა ფეხზე რომ ვიდექი და ალბათ თვალდახუჭული მესროდა ეგ ლაჩარი, თორემ იარაღის ცეცხლზე კი უნდა დაენახა, სად ვიყავი. აღარ მითხრა შეურიგდიო, მაგის ხელიდან მკვდარი ვარ მე და როგორ უნდა მოკვლა, მაგას ვანახებ“, — დაკითხვიდან გამოსული იმუქრებოდა ჯაბა. სამწუხაროდ, მან სამართალდამცავებს არ უთხრა, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო იარაღი...

ზურამ მეორე დღეს მთელი თბილისი მოიარა, ყველა შეაწუხა, ყველასთან მივიდა, ჯაბა და გიორგი ერთმანეთს სამკვდროდ გადაეკიდნენ და იქნებ შევარიგოთო, მაგრამ გიორგიზე პასუხისმგებლობას არავინ იღებდა. თანაც, მას ჯაბაც ეძებდა, იარაღით იმ მიზნით, რომ დაესაჯა. ეს ამბავი კარგად რომ არ დასრულდებოდა, ყველა გრძნობდა, მაგრამ თითქოს ყველა უძლური იყო...

ორი თვის შემდეგ, ზურა ეზოში მეგობრებთან ერთად იდგა და მზესუმზირას აკნატუნებდა. მათ კორპუსთან მანქანა გაჩერდა. იქიდან არავინ გადმოსულა, თუმცა მეგობრების ყურადღება მაინც მიიპყრო. ბოლოს მანქანის კარი გიორგიმ გააღო, ზურას ხელი დაუქნია და ისიც მივიდა.

„ჯაბა სად არის?!“ — ჩუმად იკითხა.

„არ ვიცი, მოვა ალბათ, მაგას ველოდებით. ხომ მშვიდობაა?!“ — აქეთ ჰკითხა ზურამ.

„კი, საქმე მაქვს, ვიცი, აქ უნდა მოვიდეს და უნდა ვნახო“, — უთხრა გიორგიმ და მანქანაში ჩაჯდა. სწორედ მაშინ დაინახა ზურამ, რომ გიორგის ქამარში იარაღი ჰქონდა გაჩრილი.

„გიო, მომისმინე, იქნებ მოვრიგდეთ თუ შევრიგდეთ თუ როგორც არის. არ გამოვა ასე იარაღით ვდიოთ ერთმანეთს, ხომ იცი, ჯაბა ჩემი ძმაკაცია, შენც არ ხარ უცხო, დავსხდეთ, დავილაპარაკოთ, რაც იყო, იყო“, — ახლიდან დაიწყო ზურამ და თან ეზოში მდგარი მეგობრებისკენ გაიხედა. მათ ყველაფერი ესმოდათ და თანხმობის ნიშნად თავებსაც აქნევდნენ.

გიორგი მანქანიდან ისევ გადმოვიდა, ზურას ორ ნაბიჯში გაუჩერდა და...

„შენი ძმაკაცია, ხო?!“ — ცივად ჰკითხა.

„ჰო, ბავშვობის ძმაკაცია და ეს შენც იცი“, — გაუღიმა ზურამ.

„და შენი ძმაკაცის მისაღებს მიიღებ? ბავშვობის ძმაკაცის?!“ — ისევ ჰკითხა გიორგიმ და როცა ზურამ ღიმილით თავი დაუქნია, ქამრიდან იარაღი გააძრო და გაისროლა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, მეგობრებმა ვერაფერი მოასწრეს, გიორგი მანქანაში ჩახტა და ადგილიდან მოწყდა. მეგობრებმა ზურა საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა...

არავინ იცის, როგორ მოახერხა გიორგის ოჯახმა შვილის დახსნა, მაგრამ ფაქტია, მკვლელი, რომელსაც მთელი კორპუსი ხელს ადებდა, სასამართლოდან გაუშვეს. მშობლებმა გათვალეს და იმავე დღეს შვილი ამსტერდამის რეისით ჰოლანდიაში გაფრინდა.

თითქოს ამ ისტორიას წერტილი უნდა დასმოდა, მაგრამ სამი თვის შემდეგ ჰოლანდიელმა სამართალდამცავებმა ამსტერდამში ერთი გასროლით მოკლული საქართველოს მოქალაქე იპოვეს. მას ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი, ხოლო ოთახში, სადაც გარდაცვლილი ნახეს, კედელზე ინგლისურად ეწერა ასო „ზ“. იმავე საღამოს, ამსტერდამი-თბილისის რეისით საქართველოში ჯაბა დაბრუნდა, რომელიც აეროპორტშივე დააკავეს, თუმცა მტკიცებულებების არარსებობის გამო, მას გიორგის მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს.

ვერსიანიუსი

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის გადმოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ალიკ ბ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტისა და საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ გადმოიტანა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის გადმოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 344-ე მუხლის 1-ლი და 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

## შს მინისტრის მოადგილემ აშშ-ს ელჩთან ერთად ქართველი პოლიციელი ქალებისთვის ლიდერის უნარების განვითარების კურსები გახსნა



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ქართველი პოლიციელი ქალებისთვის ლიდერის უნარების განვითარების კურსები სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გახსნეს. აღნიშნული კურსები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ არის დაფინანსებული და აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო ახორციელებს.

კურსები მიზნად ისახავს საქართველოს ცენტრალურ და რეგიონულ სამართალდამცავ სტრუქტურებში პოლიციელ ქალთა ჩართულობისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობას. 2015 წლის მარტში საქართველოში აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით თბილისში ჩატარდა პოლიციელ ქალთა მეოთხე, ყოველწლიური კონფერენცია, რომელსაც 9 ქვეყნის 150 პოლიციელი ქალი დაესწრო.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხები საქართველოსა და მთელ მსოფლიოში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, ჰუმანიტარული და განვითარების პროექტების ნაწილია.

*„ვერსიანიუსი“*

## შს სამინისტრომ 12 შეკვრა ჰეროინი და „ბიო“ ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ლევან ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 0,125 გრ „ბიო“ და „მეტადონის“ აბის ნატეხი ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

# „კაბელების საქმის" მოსამართლე ალასანიას ახლობელია და საქმეს ხელოვნურად აჭიანურებს?



## რა კავშირი აქვს დავით ჯულელს თავდაცვის ექსმინისტრთან და მისი გარემოცვის წევრ კახა ჩიხრაძესთან



ე.წ. კაბელების საქმე კვლავ განხილვის თემაა. გარდა იმისა, რომ თავისუფალი დემოკრატები ხელს საჯაროდ იშვერენ პროკურატურისკენ, ახლა საქმეში ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც „ჩართეს". ამ ამბავს გამოხმაურება მოჰყვა კონკრეტული ტელეკომპანიიდან და დღის თემად იქცა, მაგრამ დღის ბოლოს საპნის ბუშტივით გასკდა. არადა...

მას შემდეგ, რაც პროკურატურამ დაიწყო ძიება „კაბელების საქმეზე" და ირაკლი ალასანიასთვის ნათელი გახდა, რომ იკვეთებოდა მასალები, რომელიც მიუთითებდა საქმეში მის მონაწილეობაზე, თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე, გააკეთა განცხადება, რომ ბრუნდებოდა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. ამით ალასანია საკითხის პოლიტიზირებასა და იურიდიული მხარის გვერდზე გაწევას შეეცადა. მომავალში, მან საკითხით პოლიტიკური მანიპულირებაც მოახერხა.

წინასასამართლო სხდომის განხილვა 2015 წლის 1 აპრილს დაიწყო. ამის შემდეგ გასულია 2 თვე და 8 დღე და დღემდე წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობს, რაც უპრეცედენტოა სასამართლო პრაქტიკაში. ნათელია, რომ მოსამართლე დავით ჯულელი მიკერძოებულია და ცდილობს, ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა ხელოვნურად გააჭიანუროს. რაში სჭირდება ეს ჯულელს? საქმე ისაა, რომ იგი კახა ჩიხრაძის ახლო ნათესავია, ჩიხრაძე კი ალასანიას უახლოესი გარემოცვის წევრი. 2002 წელს, როდესაც ალასანია უშიშროების მინისტრის მოადგილე გახლდათ, ჩიხრაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. შსს-ს რიგებიდან ჩიხრაძე 2003 წელს დაითხოვეს.

2004-2006 წლებში, როდესაც ალასანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე იყო, ჩიხრაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, 2009 წლიდან კი იგი ალასანიას დაცვის უფროსი გახდა.

2012 წლის ნოემბერში ალასანიამ კახა ჩიხრაძე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დანიშნა. ჩიხრაძემ თანამდებობა ალასანიას გადადგომის შემდეგ დატოვა, თუმცა უმუშევარი არ დარჩა და დღემდე პარტია „თავისუფალი დემოკრატების" უსაფრთხოების სამსახურის უფროსად მუშაობს.

2015 წლის 5 ივნისს მოსამართლე დავით ჯულელმა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვის დროს, გააკეთა კანონის „ახლებური" განმარტება და სასაქონლო ექსპერტს აუკრძალა ბაზრის კვლევის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან დღემდე ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაცემული აქვს ათიათასობით სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ყველა შემთხვევაში, სწორედ ექსპერტის მიერ ხდებოდა ბაზრის კვლევა და სასამართლო იღებდა მას, როგორც დასაშვებ მტკიცებულებას. თვით დავით ჯულელსაც, სხვა შემთხვევებში არ აქვს ასეთი გადაწყვეტილება მიღებული და მხოლოდ ამ საქმეზე გამოიყენა განსხვავებული მიდგომა, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირია.

ამავე მოსამართლემ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეჭვი შეიტანა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორეში, ხოლო განჩინებაში ვერ დაასაბუთა, რაზე დაყრდნობით აკეთებდა ასეთ დასკვნას.

რეალობა ერთია — კონკრეტული მხარე ცდილობს, ყველანაირი ხერხით „გამოიძიოს" კაბელების საქმე და ამ მხრივ კონკრეტული ტელევიზიის უანგარო მხარდაჭერა აშკარად აქვს.

**არჩილ კაიკაციშვილი: „კაბელების საქმეზე" მოსამართლის მხრიდან შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელება შეინიშნება".**

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებას ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით, საკამათოს უწოდებს და აქცენტს აკეთებს სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რითაც ღია დარჩა ექსპერტიზის დასკვნის საქმეში მტკიცებულების თანდაურთველობის საკითხი. ორგანიზაციამ ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით განცხადება ჯერ კიდევ 2014 წლის ოქტომბერში გააკეთა და აღნიშნა, რომ პროცესი მაქსიმალური გამჭვირვალობით, დაკავებულთა პროცესიალური უფლებების დაცვითა და მათი უდანაშაულობის პრეზუმპციის მაღალი სტანდარტით უნდა განხორციელებულიყო. არჩილ კაიკაციშვილი ფიქრობს, რომ საქმეზე კვლავ მაღალია პოლიტიკური კონტექსტი, რაც საქმის წარმოების პროცესს, ზოგადად, მნიშვნელოვნად აზარალებს. არჩილ კაიკაციშვილის აზრით, სასამართლომ პოლიტიკოსების ზეწოლას ვერ გაუძლო და „კაბელების საქმეზე", ნუგზარ კაიშაურის, გიზო ღლონტის, გიორგი ლობჟანიძის, დავით წიფურიასა და არჩილ ალავიძის ბრალდების საქმეზე, მოსამართლე დავით ჯულელმა წინასასამართლო სხდომაზე დაუსაბუთებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილებები მიიღო.

**— არჩილ, თქვენი ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე პროცესებით ჯერ კიდევ 2014 წელს დაინტერესდა, როდესაც „ჯარისკაცების მოწამვლის" ფაქტები გამოაქვეყნეთ. შემდგომ იყო ე.წ. კაბელების საქმეზე შეფასებები. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 5 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება და საქმეზე მტკიცებულებად არ დაურთო ექსპერტიზის დასკვნა. როგორია თქვენი შეხედულება და რამდენად ჩართულია ორგანიზაცია სასამართლო სხდომის მონიტორინგში?**

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დაკავება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით სარგებლობს და აუცილებელია, ფაქტთან დაკავშირებით, სამართალწარმოება იყოს გამჭვირვალე და მიუმხრობელი. საზოგადოებას გააჩნია სწორი მოლოდინი, რომ ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით, ყველა ფაქტობრივი გარემოება უნდა დადგინდეს, ვინაიდან დანაშაული შესაძლო კორუფციულ ნიშნებსაც ატარებს. თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ბრალდება აჩენს კითხვებს სამინისტროს არაეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებით და საჭიროებს, პასუხი გაეცეს უწყებაში შესაძლო კრიმინალის ფაქტს. ამდენად, ჩვენი ინტერესიც საქმის განხილვის მიმართ, ბუნებრივია, თუმცა ორგანიზაცია უშუალოდ ჩართული არ არის სასამართლო მონიტორინგის განხორციელებაში. ჩვენი მიზანია, შევაფასოთ საქმესთან დაკავშირებით ცალკეული გადაწყვეტილებები — რამდენად ჯდება სამართლებრივ ჩარჩოში და რამდენად იღებს სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციამ არაერთი განცხადება გააკეთა კომპანია ,,სილქნეტის" კეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია, სამინისტროს მაღალჩინოსანთა დაკავების საქმეში, სასამართლო დაინტერესდეს, რა ურთიერთსასარგებლო გარიგება არსებობდა დაკავებულებსა და კომპანიას შორის სახელმწიფო ბიუჯეტის საწინააღმდეგოდ. ჩანს, ჯერჯერობით, სასამართლო ანუ საქმის განმხილველი კონკრეტული მოსამართლე, მაინც პოლიტიკური შეხედულებების ტყვეობაშია, რადგანაც ის ფაქტი, რომ სასამართლომ 2015 წლის 5 ივნისს ბრალდების მთავარი მტკიცებულება საქმეს არ დაურთო — საუბარია ექსპერტიზის დასკვნაზე, საქმის შინაარსს არ ცვლის, რადგანაც გადაწყვეტილება ჯერ არ არის კანონიერ ძალაში შესული და ჯერ კიდევ უცნობია, მხარე გაასაჩივრებს მას თუ არა, ასევე რა პოზიცია ექნება სააპელაციო სასამართლოს. ამიტომაც, ძალიან არასწორი მოლოდინი შეიქმნა 5 ივნისის გადაწყვეტილების შემდგომ და მედიამაც საზოგადოებას არასწორი აქცენტებით მიაწოდა ინფორმაცია. რჩება შთაბეჭდილება, რომ საქმე დასრულდა, ბრალდებამ წააგო, დაკავებულები უდანაშაულონი არიან, რაც ასე არ არის. ჯერ არავის არც წაუგია და არც მოუგია, ჩემი შეხედულება კი უცვლელია — მთავარია, საქმეზე დადგეს ჭეშმარიტება, ოღონდ მხარეთა შეჯიბრებითობის, მტკიცებულებებისა და საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე. ამიტომაც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ კონკრეტულად ერთ პოლიტიკურ პარტიას სურს, ზეწოლა მოახდინოს სასამართლოზე, საქმეზე, რომელიც ჯერ კანონიერ ძალაშიც შესული არ არის.

**— რა იწვევს თქვენს უკმაყოფილებას, კერძოდ, რატომ მიიჩნევთ, რომ სასამართლომ 5 ივნისს ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები მიიღო?**

— დიახ, მნიშვნელოვანია, საქმეს სამართლებრივი კუთხით გავყვეთ და ცალკეულ გარემოებებზე საზოგადოებისთვის საჭირო აქცენტები გავაკეთოთ. კერძოდ, წინასასამართლო სხდომის განხილვა დაიწყო 2015 წლის 1 აპრილს, რის შემდეგაც გასულია 2 თვე და 8 დღე და დღემდე წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობს, რაც უპრეცედენტოა სასამართლო პრაქტიკაში. ნათელია, რომ მოსამართლე დავით ჯულელი ამ მიმართულებით, მიკერძოებულ დამოკიდებულებას იჩენს, რაც მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ ბრალდებულად ყოფნის 9-თვიანი ვადა ხელოვნურად გაჭიანურდეს. ამასთან, მოსამართლემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვის დროს, შეიძლება ითქვას, გააკეთა კანონის „ახლებური" განმარტება და სასაქონლო ექსპერტს აუკრძალა ბაზრის კვლევის ჩატარება. ეს არის ამ საქმისთვის, შეიძლება ითქვას, „აღმოჩენა" და მოსამართლის მხრიდან რაღაც გარკვეულ „გათვალისწინებებზე" მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან დღემდე, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაცემული აქვს ათასობით სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ყველა შემთხვევაში, სწორედ ექსპერტის მიერ ხდებოდა ბაზრის კვლევა და სასამართლო ყველა შემთხვევაში, იღებდა მას, როგორც დასაშვებ მტკიცებულებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც ვნახეთ, თვით დავით ჯულელსაც სხვა შემთხვევებში აქვს ასეთი გადაწყვეტილება მიღებული და მხოლოდ ამ საქმეზე გამოიყენა განსხვავებული მიდგომა. ამასთან, მოსამართლემ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეჭვი შეიტანა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორეში, ხოლო განჩინებაში ვერ დაასაბუთა, თუ რაზე დაყრდნობით აკეთებდა ასეთ დასკვნას. სწორედ საქმეში და 5 ივნისის გადაწყვეტილების ამგვარად შემოთავაზება აჩენს ბევრ კითხვას და მივყავართ მოსამართლის მხრიდან „შერჩევითი მართლმსაჯულების" განხორციელების მცდელობამდე, რაც არც სასამართლოსთვისაა კარგი, არც ქვეყნისთვის და არც საზოგადოებისთვის, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრიდან, თვისობრივად ცხოვრების ახალ პრინციპებზე შეთანხმდა.

**— დიახ, თქვენ „კაბელების საქმის" შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით, გააკეთეთ განცხადება, რომ საქმეზე პოლიტიკურმა კონტექსტმა სამართლებრივი მხარე არ უნდა ჩაანაცვლოს. რა ხდის ამ საქმეს პოლიტიკური კონტექსტის მატარებლად?**

— ჩვენი ორგანიზაციის ზოგადი შეხედულება საქმის მიმართ მაშინაც და ახლაც იგივეა, რომ საქმეზე პოლიტიკურმა კონტექსტმა, სამართლებრივი მხარე იმთავითვე დაჩრდილა. იმისთვის, რომ პროცესი მეტად გამჭვირვალე ყოფილიყო, საქმეზე „გრიფით საიდუმლოს" მოხსნა სწორ გადაწყვეტილებად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საქმის მეტი ღიაობა შესაძლებლობას ხდის პროცესის გამჭვირვალობას და გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას. მიმაჩნია, რომ „კაბელების საქმესთან" ერთად, „გრიფი საიდუმლო", მათ შორის „დელტაკომის" საქმესა და ჯარისკაცების მოწამვლის ძიებასაც უნდა მოეხსნას. ხალხმა უნდა ნახოს პროცესი და არა სპეკულაცია. სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესოც და გაუგებარიც, თავის დროზე, რატომ იცრუა კომპანია „სილქნეტმა" თავის განცხადებაში, როდესაც აღინიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროში ტენდერი გამოცხადდა 2013 წლის აგვისტოში და დასრულდა 2013 წლის სექტემბერში, ხოლო არც ერთ სატენდერო დოკუმენტაციაზე, არ არსებობდა მინისტრის მაშინდელი მოადგილის, ალექსი ბატიაშვილის ხელმოწერა. „სილქნეტის" ინფორმაციით, მინისტრის მაშინდელი მოადგილე აღნიშნულ თანამდებობაზე, 2013 წლის 23 ნოემბრიდან საქმიანობდა. ჩვენ განცხადება გავავრცელეთ და საზოგადოებისთვის ცნობილი გავხადეთ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, „სილქნეტის" კომერციული დირექტორის, ბაჩო ჩინჩალაძის დედა, თამარ ბატიაშვილი, მინისტრის მაშინდელი მოადგილის, ალექსი ბატიაშვილის ოჯახის წევრი და ალალი ბიძაშვილი იყო. ეს შემთხვევა არც არავის უარყვია, ხოლო ორგანიზაციამ კითხვა დასვა, ამ ნათესაურ კავშირებს, რაიმე სახით, შეეძლო თუ არა სატენდერო პირობებისა და ხელშეკრულების დადებაზე სუბიექტური გავლენა მოეხდინა. მოგვიანებით, ცნობილიც გახდა, რომ მთავარმა პროკურატურამ მინისტრის მაშინდელი მოადგილე მოწმის სახით დაკითხვაზე დაიბარა, რადგანაც მიუთითა, რომ სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელმოწერა სწორედ ალექსი ბატიაშვილის მხრიდან იყო უზრუნველყოფილი. საერთოდაც, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ტენდერების საკითხი, ცალკე ანალიზის თემაა. ჩვენ ვმუშაობთ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავდაცვის მინისტრების დროს ჩადენილია, თუ როგორ ახდენდა სახელმწიფო სამინისტროს სახით კეთილსინდისიერი მეწარმეების ტერორსა და რეკეტს. იმედი გვაქვს, თავდაცვის ახალი მინისტრი ბერუაშვილების ამ ცნობილ საქმეზე დროულ რეაგირებას მოახდენს. რაც შეეხება ე.წ. კაბელების საქმეს", „ახალგაზრდა ადვოკატები" მოითხოვს განმარტებებს, რამდენად არსებობს შერჩევითი პრინციპი, როდესაც სამინისტროს ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები მინისტრთან დაახლოებული პირები არიან, ხოლო დამოუკიდებელი მოთამაშეები, სახელმწიფო ტენდერების მიღმა რჩებიან. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ცნობილი შემთხვევა, რა დროსაც, თავდაცვის სამინისტროს არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციაცა და კაპიტალური რემონტიც განახორციელა შპს „არქიტექტურული ბიურომ", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, თამარ ვალიშვილი, როგორც ამბობენ, ირაკლი ალასანიასთან დაახლოებული პირია. აღნიშნულმა კომპანიამ, 2013 წელს, თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში გამარჯვებით, 29,800 ლარი მიიღო, რაც დოკუმენტებით დასტურდება. ამიტომაც, საკამათოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, რომელსაც მკაფიო ხაზგასმა და დასაბუთება აკლია.



## დიდუბის პანთეონი იხურება

დიდუბის პანთეონი ოფიციალურად დაიხურება, — აცხადებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.

საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც ერთ-ერთ საკითხად მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დახურვის საკითხი განიხილეს.

გიორგი ალიბეგაშვილის თქმით, დიდუბის პანთეონში პრაქტიკულად აღარ არის ადგილი მიცვალებულის დასაკრძალად, ამიტომ ბოლო 2-3 თვეა ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა ახალი პანთეონისთვის შესაფერისი ადგილი მოიძებნოს: **„შერჩეული იყო რამდენიმე ადგილი. ეს გახლდათ ე.წ. რუსთაველის მონუმენტი, რომელიც ლოტკინის ასახვევშია. ასევე ზურაბ წერეთლის მიერ აგებული „მეფეთა მონუმენტი“, რომელიც თბილისის ზღვაზეა, მაგრამ ბოლოს კომისიამ გადაწყვეტილება შეაჩერა ახლად მშენებარე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის შემოგარენზე. ამაზე მიდის ახლა საუბარი. პატრიარქის ლოცვა-კურთხევაც არის ამ თემასთან დაკავშირებით. ჩართულია სპეციალისტები, სასულიერო პირები, მოქალაქეები, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც პანთეონს, როგორც ისტორიულ ადგილს და არა მხოლოდ დასაკრძალ ადგილს თავის იერსახეს მიანიჭებს და ჩვენს დედაქალაქს ექნება შესაფერისი პანთეონი“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



## ავღანეთში დაჭრილი კაპრალი რამაზ დავითაია გარდაიცვალა

თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერის, იმედა დარსალიას ინფორმაციით, გორის ჰოსპიტალში, ავღანეთში დაჭრილი კაპრალი რამაზ დავითაია გარდაიცვალა. დარსალიას განმარტებით, რამაზ დავითაია 2012 წლის 21 ივნისს ავღანეთში სნაიპერის ტყვიით დაიჭრა, მას მძიმე ოპერაცია გერმანიაში ჩაუტარდა, რის შემდეგაც გორის ჰოსპიტალში მკურნალობდა.

*„პირველი“*



## საქართველოში არამდგრადი ამინდი კვირის ბოლომდე გაგრძელდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამსახურის ინფორმაციით, არამდგრადი ამინდი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კვირის ბოლომდე შენარჩუნდება.

*„პირველი“*

# სპეციალური რეპორტაჟი თბილისის მერიის მისაღებიდან

## რა თხოვნით მიმართავენ თბილისელები დავით ნარმანიას და ვის ხვდება მერი პირისპირ

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**მერიის მისაღებში ხალხმრავლობა ხშირადაა, განსაკუთრებით, პარასკევობით, როცა ქალაქისთავი მოქალაქეებს ხვდება. კვირის ამ დღეს აქ უშუალოდ ნარმანიასთან შემხვედრებსაც ნახავთ და ისეთებსაც, სხვადასხვა მოთხოვნით, განცხადებებს რომ წერენ ან რაიმე საკითხის გასარკვევად მოსულან. განცხადება მერთან პირისპირ შეხვედრის მოთხოვნითაც უნდა დაწერო, მაგრამ წინასწარ არ იცი, მიგიღებს თუ არა. ვისაც ბედი გაუღიმებს, ტელეფონით შეატყობინებენ, რომ ნარმანია სასაუბროდ მზადაა. დარბაზში შეკრებილი ადამიანები ერთმანეთს მოსვლის მიზეზებს ეკითხებიან. თუ გაიგეს, რომ რომელიმე მერთან შესახვედრად დაიბარეს, მაშინვე ყურადღების ცენტში ექცევა და კითხვების მოგერიება უხდება.**



მერიის მისაღებში, დაახლოებით 50-მდე მოქალაქე იქნება. ძალიან ცხელა და შესაძლოა, როგორც ველოდი, იმდენი ადამიანი იმიტომ არ დამხვდა აქ. დავით ნარმანიას გრაფიკი წინასწარ აქვს გაწერილი და ამიტომ შეზღუდულია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც მერთან პირისპირ საუბრის საშუალება მიეცემა. მოქალაქეების უმრავლესობა აცხადებს, რომ სოციალური დახმარების ან საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თხოვნით მოვიდა. ოპტიმისტური განწყობა მათგან არც ისე ბევრს აქვს, მით უმეტეს, საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად სხვადასხვა ინსტანციას უკვე მიაკითხეს და დედაქალაქის მერია, რომ იტყვიან, უკანასკნელი იმედია.

საინფორმაციო ცენტრში განგვიმარტეს, რომ კვირის განმავლობაში ქალაქის მერია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებისგან ასეულობით განაცხადს იღებს. თუმცა, განცხადების დაწერა სულაც არ ნიშნავს, რომ ნარმანიასთან შეხვედრა გარანტირებულია. წარდგენილ განცხადებებს კომისია ერთი კვირიდან ერთი თვის ვადამდე განიხილავს. უცნობია, რა ნიშნით ხდება მერთან შეხვედრის მსურველთა „გადახარისხება“. გვიხსნიან, რომ ეს საკითხის მნიშვნელობაზეა დამოკიდებული (?!).

მერიის მისაღებში ჩამწკრივებული ოთხივე ტელეფონი შიდამოხმარებისაა, რასაც მოქალაქეები აპროტესტებენ — ზოგს პირადი ნომრის გადამოწმება დასჭირდა, ზოგს სხვა საკითხის გარკვევა და შინ, ქალაქის ნომერზე დარეკვა, ვერსაიდან შეძლეს. ახალგაზრდა კონსულტანტმა დარბაზში მყოფთ ურჩია, მარცხნიდან მეორე ტელეფონით ისარგებლეთო. როცა მოქალაქეებმა იქიდანაც ვერ დარეკეს, კონსულტანტმა „ჩვენება“ შეცვალა — მაშინ მარჯვნიდან პირველი ტელეფონით დარეკეთო. მოქალაქეებმა ამის შემდეგ, მცირე განგაში ატეხეს — არც აქედან ირეკება, ყველა ტელეფონი მხოლოდ მერიის ცხელ ხაზს უკავშირდებაო. კონსულტანტი ჯერ დადუმდა, შემდეგ კი განაცხადა: „როგორც ჩანს, ტელეფონს გამავალი ზარი არ აქვს. იქნებ მობილურით ისარგებლოთ. მე ვერაფრით დაგეხმარებით“. მობილურის არმქონე მოქალაქეებმა, კომუნიკაციის პრობლემა ხმამაღალი შეძახილებით გააპროტესტეს.

შენობის შესასვლელში, მარცხნივ, ელექტროაპარატი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს მერიის აპარატის საქმიანობის შეფასება შეუძლიათ, გაუმართავია. ერთადერთი ღილაკი მუშაობს, რომელზე შეხების შედეგადაც ეკრანზე იწერება: „ძალიან კარგად“. მოქალაქეების პროტესტი ამ ფაქტმაც გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ნარმანიას თავკაცობას, ამგვარად ბევრი თბილისელი არ აფასებს. საკუთარი მოსაზრებისა და პრობლემების შესახებ მოქალაქეები „ვერსიას“ გულახდილად ესაუბრნენ.

ქალბატონი მერი თბილისის ცენტრალურ უბანში ცხოვრობს და დამატებითი სართულის დაშენება სურს. მერიაში დილით მცირეწლოვან შვილთან ერთად მოვიდა. ფიქრობდა, პროცედურა რამდენიმე წუთს გაგრძელდებოდა, თუმცა სამ საათზე მეტია მერიის მისაღებშია და ჯერჯერობით, ვერაფერი გაარკვია. საინფორმაციო ცენტრში უთხრეს, სართულის დაშენებასთან დაკავშირებით განცხადება დაწერეთ, დავიტოვებთ და განვიხილავთო, მაგრამ ვერ განუმარტეს, როგორი განაცხადი უნდა შეავსოს და მერიის ცხელ ხაზზე გადაამისამართეს. კონკრეტული პასუხი ვერც ცხელ ხაზზე მიიღო და სამსაათიანი ტანჯვის მერე, იძულებული გახდა, განაცხადის შევსება სხვა დღისთვის გადაედო.

ქალბატონი ნათია დავით ნარმანიასთან შვილის სწავლის დაფინანსების თხოვნით მოვიდა. მის ოჯახს სოციალური დახმარება მერიისგან ადრეც მიუღია. ამბობს, რომ ერთადერთი უწყება, რომელიც ოდესმე დახმარებია, ქალაქის მერიაა. ამქვეყნად თუ ვინმესი სჯერა, ნარმანიაა. ამჯერად განაცხადი ვაჟის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოიტანა. გადასახადი სულ 1200 ლარია. შავებში შემოსილ მარტოხელა ქალს იმედი აქვს, რომ მერია მის ვაჟს გადასახადის ნახევარს მაინც დაუფინანსებს.

საქართველოში დაბადებული ფრანგი, 68 წლის დონა როდე განაცხადს ახლა ავსებს, თუმცა ყოყმანობს და მეკითხება, როგორ ფიქრობ, საერთოდ აქვს აზრი ამ განაცხადის შევსებას, უამრავი გაჭირვებული ადამიანია და რაღა მე დამეხმარებიანო. ქალბატონ დონას უმაღლესი განათლება აქვს. წლების განმავლობაში რუსულის პედაგოგად მუშაობდა, მოწაფეებიც ყავდა და ფინანსურად არ უჭირდა, მაგრამ დღეს უმუშევარია და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. შარშან მიუსაფართა თავშესაფარში გადასვლა სურდა, მაგრამ როცა გაიგო, თავშესაფარი კარვებისგან აშენდება და დროებითი იქნებაო, აზრი შეიცვალა. მიაჩნია, რომ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში რომ ეცხოვრა, ამ ასაკში, ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა. თუ ქალაქის მერთან შეხვედრა მოახერხა, ნარმანიას სოციალურ დახმარებას და საცხოვრებელ ფართსაც სთხოვს, რადგან საკუთარი ჭერი არ გააჩნია და კუკიაზე, ნათესავის ბინაში ცხოვრობს. განცხადებებს ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული წერდა, თუმცა არც დახმარებია და არც გამოხმაურებია ვინმე: „წინა მთავრობის დროს სოციალური დახმარება მქონდა. ახლა ესეც მომიხსნეს, არ ვიცი რატომ. ერთადერთი შემოსავლის წყარო პენსია და სოციალური დახმარება იყო. მოსწავლეებიც აღარ მყავს. წესით მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, მაგრამ ცნობის გასაკეთებლად 50 ლარი მომთხოვეს, ამიტომ ვეღარც ეს გავაკეთე. იმედი მაქვს, ნარმანია მაინც მიიტანს გულთან ჩემს გაჭირვებას“.

განცხადების შევსება თბილისის მერიაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. შესაძლებელია განცხადება სხვა ადამიანის ნაცვლადაც დაწეროთ. ამისთვის, არც პირადობის მოწმობის და არც რაიმე სხვა საბუთის წარდგენა არ დაგჭირდებათ. მოქალაქეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ რეგულაციამ შესაძლოა აპარატის საქმიანობა შეაფერხოს — 10 განცხადებიდან 5 ტყუილი იყოს და განცხადების განმხილველი კომისია შეცდომაში შევიდეს. ტყუილის რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს შესაძლებლობა ჩვენც გამოვიყენეთ, ერთ-ერთი იმ მოქალაქის სასარგებლოდ, ვინც რიგი მიზეზების გამო, მერიაში მისვლას, ფიზიკურად ვერ ახერხებს.

### ვერსიანიუსი

## ჭიკაანში სეტყვამ ვენახი და ხეხილის ბაღები გაანადგურა



ძლიერი სეტყვის შედეგად, ყვარლის სოფელ ჭიკაანს სერიოზული ზარალი მიადგა. სეტყვამ რამდენიმე ათეული ჰექტარი ვენახი, საზამთროსა და ნესვის ბაღები მთლიანად გაანადგურა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სეტყვა ნახევარი საათი გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა არ ამოქმედებულა.

სეტყვას ქარიშხალი ერთვოდა, რამაც ლაგოდეხი-თელავი-ყვარლის მთავარი მაგისტრალი ჩახერგა, გზის ამ მონაკვეთზე გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა. სეტყვით დაზარალებული მოსახლეობა დახმარებას, ფერმერები კი აგროკრედიტის გადავადებას ითხოვენ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# დეველოპერულმა კომპანიამ $m^2$ უძრავი ქონება „$m^2$ გალერეა“ გახსნა

ახალი ბინის შეძენის ოცნების ასრულება, აუცილებლად ქავთარაძის №1-დან უნდა დაიწყოთ — აქ „$m^2$ გალერეაა“, სადაც დეველოპერული კომპანიის პროექტების შესახებ დეტალურ ინფორმაციასაც მიიღებთ, სხვადასხვა ტიპის ბინების ასლებსაც დაათვალიერებთ, დიზაინერებთან და არქიტექტორებთანაც შეათანხმებთ პროექტს, ბინის რემონტისთვის სამშენებლო მასალებსაც შეარჩევთ და „ოცნების სახლის“ შეძენასაც მოახერხებთ, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ბინის პოტენციური მყიდველებისთვის სრული კომფორტი $m^2$-მა ახლახან შექმნა და ჟურნალისტებისთვის მედიატურიც მოაწყო. გალერეა 500კვ.მ-ზეა გადაჭიმული. აქ, 38 და 50-კვადრატულმეტრიანი ბინების ასლები რეალურ ზომებშია წარმოდგენილი.

„$m^2$ გალერეაში“ წარმოდგენილია დეველოპერული კომპანიის $m^2$ უძრავი ქონება მიმდინარე პროექტების მასალების საჩვენებელი სტენდები, საკონსულტაციო და მოსაცდელი ადგილები, დიზაინერების სამუშაო ზონები.

$m^2$ უძრავი ქონების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, **ირაკლი ბურდილაძის** განმარტებით, „$m^2$ გალერეის“ გახსნა კომპანიამ მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტა: **„დეველოპერული კომპანია „$m^2$ უძრავი ქონება“ მუდმივად ცდილობს, მომხმარებელს შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი და შესთავაზოს ზუსტად ისეთი სერვისი, რომელიც მას სჭირდება. სწორედ ასეთია „$m^2$ გალერეა“, სადაც მომხმარებელს დახვდება საჩვენებელი ბინები, რეალურ ზომაში და რეალური ავეჯით მოწყობილი. მომხმარებელს საშუალება ექნება, რეალობაში შეხედოს**






ინტერიერის დიზაინის, სარემონტო მასალების შერჩევის, კონსულტაციისა და გაყიდვების ერთიანი სივრცე ქავთარაძის №1-ში

**და აღიქვას, როგორი შეიძლება იყოს მისი საკუთარი ბინა. ბინის მომავალი მფლობელი გაცილებით უკეთ შეაფასებს სივრცეს, რაც დაეხმარება ბინის ინტერიერის უკეთ დაგეგმვაში. $m^2$ კი თავის მხრივ ზუსტად ასახავს ბინის მფლობელის სურვილებს ბინის გეგმარებისა და დიზაინის პროცესში. პოტენციურ მყიდველებს საშუალება ექნებათ, დეტალები აქვე შეათანხმონ ჩვენს დიზაინერებსა და არქიტექტორებთან და აქვე შეიძინონ სასურველი ბინა“.**

„$m^2$ გალერეაში“, დეველოპერული კომპანია $m^2$ უძრავი ქონება მომხმარებელს კიდევ ერთ სასიამოვნო სიახლეს სთავაზობს — სხვადასხვა დროს, გალერეაში გამოიფინება თანამედროვე ფოტოხელოვანებისა და მხატვრების ნამუშევრები. „$m^2$ გალერეის“ მომხმარებლები, მომსახურების მიღებასთან ერთად, გაეცნობიან და დაათვალიერებენ თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრებს.

ამჟამად დეველოპერული კომპანია „$m^2$ უძრავი ქონება“ ერთდროულად ახორციელებს ოთხი ენერგოეფექტური პროექტის მშენებლობას: $m^2$ ნუცუბიძეზე, $m^2$ ყაზბეგზე, $m^2$ თამარაშვილზე და ოპტიმა ისანი.

*ნინო ლურსმანაშვილი*

სკანდალი მედიცინაში

# ბოლო სტადიის სიმსივნე განკურნებადია!

## სტომატოლოგმა ონკოპაციენტი შვილი „სპეციალური დიეტით“ განკურნა

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

წლებია დავობენ, არსებობს თუ არა წამალი ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ. შეთქმულების თეორიების მოყვარულნი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ წამალი არსებობს, უბრალოდ ფარმაცევტული ინდუსტრიის გიგანტები რეცეპტს არ ასაჯაროებენ, რადგან ქიმიო და სხივური თერაპიით კოლოსალურ თანხებს შოულობენ. თავის მხრივ კი ტრადიციული მედიცინის მიმდევრები და წამლის მწარმოებლები ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, ირწმუნებიან, რომ ადამიანების სიცოცხლე ბევრად ძვირფასია, ვიდრე უშედეგო მკურნალობით ნაშოვნი მილიარდები. არავინ იცის, სად სრულდება სიცრუე და იწყება სიმართლე, მაგრამ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ონკოპაციენტების გამოჯანმრთელების პრეცედენტებიც ხომ არსებობს? ზოგი ამას სასწაულად აღიქვამს, ზოგი კი სწორი მკურნალობის შედეგად, თუმცა, როდესაც ექიმი-სტომატოლოგის ოცი წლის ვაჟს ზურგის ტვინის სიმსივნის უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს და სიცოცხლის ერთკვირიანი ვადა მისცეს, დედას სასწაულებზე ნამდვილად არ უფიქრია. მეტასტაზები ტვინში იყო წასული და თავშიც დამოუკიდებელი სიმსივნე განვითარებულიყო. „ილია კვირაზე მეტს ვერ იცოცხლებს“, — ასეთი იყო თეთრხალათიანთა ვერდიქტი! მას აღარც სიარული შეეძლო და აღარც მოძრაობა, ძირითადად იწვა და 178 სმ სიმაღლის ბიჭი, 40 კილოგრამს იწონიდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა დედამ, საკუთარი ძალითა და მეთოდით ემკურნალა შვილისთვის.

მკურნალობა გამწმენდი პროცედურებით (ოყნა) დაიწყეს, რაც კიბოს ინტოქსიკაციას ხსნის (ორ ლიტრ წვენში ერევა ერთი ჭიქა ჭარხლისა და ერთი კოვზი ლიმონის წვენი). გამწმენდი პროცედურები გრძელდებოდა ათი დღის განმავლობაში, დღეში ორჯერ. ამ პერიოდში ილია არაფერს ჭამდა და მხოლოდ ცოტა წყალს სვამდა. მოგვიანებით დაიწყო ფორთოხლის წვენის დალევა (ნახევარი ჭიქა), ხილის ჭამა (ვაშლი, კივი)... გარკვეული პერიოდის შემდეგ კი კვების რაციონს ორი მოხარშული კარტოფილი შეემატა. მომდევნო სამი თვე იჯდა უცილო დიეტაზე, ჭამდა ხილს, უმ და მოხარშულ ბოსტნეულს, ზეთითა და მარილით შეგემებულს. ნელ-ნელა თავი უკეთ იგრძნო, დაიწყო წონაში მატება, თითქმის გაქრა ტვინის სიმსივნე, მაგრამ დაიწყო კიდურების შეშუპება. მაშინ ილია მიხვდა, რომ თავს მხოლოდ მაშინ გრძნობდა კარგად, როცა ჭამდა უმ საკვებს. მოგვიანებით შეიტყო, რომ კვების ასეთი სისტემაც არსებობდა და 10-თვიანი უცილო დიეტის შემდეგ გადაწყვიტა უმი პროდუქტით ეკვება. ეს არ იყო ადვილი — ბიჭი მიხვდა, რომ არსებობს ემოციური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება მზა საკვების მიმართ, არღვევდა კიდეც დიეტას, მაგრამ ბოლოს მაინც უბრუნდებოდა უმ საკვებს.

შედეგად გაქრა სიმსივნეცა და შეშუპებაც, წონაში მოიმატა 78 კგ-მდე, თავიდან ჩააბარა ინსტიტუტში და დაიწყო სწავლა. დღეს მისი შემხედვარე ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე, რომ ორი წლის წინ ბოლო სტადიის სიმსივნით კვდებოდა. ამ პერიოდში კი დედამისი რამდენიმე ადამიანს დაეხმარა გამოჯანმრთელებაში და განკურნების ყველა მსურველს ურჩევს — უარი თქვან ყველა იმ პროდუქტზე, რომელსაც ცილების მაღალი კონცენტრაცია აქვს (რძე, ხორცი, კვერცხი, თევზი), ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება სასურველია უმად ერთი წლის განმავლობაში, ხოლო სრული გამოჯანმრთელებისა და რეციდივის თავიდან ასაცილებლად კი კვების მსგავსი სისტემის გამოყენება ხუთი წლის განმავლობაშია საჭირო. და რაც ყველაზე მთავარია, ქალი ყველა ონკოპაციენტს ურჩევს, სამუდამოდ დაივიწყოს, რომ ეს დაავადება განუკურნებელია!.

მსოფლიო მოსახლეობის სიმსივნით დაავადების მაჩვენებელი სულ უფრო იზრდება და პრობლემაც უფრო აქტუალური ხდება. კაცობრიობა დღემდე ცდილობს ამ საკითხის გადაჭრას როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული სამედიცინო გზებით, რომლებიც როგორც მედიკამენტოზურ მკურნალობას, ასევე კვების სხვადასხვა სისტემასაც ითვალისწინებს. ასეთია რევიჩის, გერსონის, ბროისის, ნიშის, გოულერის, გრინიზშეინის კვების სისტემები და ისინი ძირითადად დაფუძნებულია ვეგეტარიანულ მიდგომაზე, როგორიცაა მაგალითად იოგას კვების სისტემა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მოერმანის დიეტაა. ეს ექიმი ცხოვრობდა და მუშაობდა ნიდერლანდებში და გარდაიცვალა 96 წლის ასაკში. მოერმანი, ასობით ადამიანს დაეხმარა სიმსივნის დამარცხებაში. ამის დამადასტურებელია კვლევა — 150 პაციენტიდან, რომლებიც სხვადასხვა სიმსივნით იყვნენ დაავადებულნი, 115 სრულად გამოჯანმრთელდა. ასეთი მაჩვენებლის მიუხედავად, მოერმანის მეთოდი მაშინვე არ ულიარებიათ ეფექტურად, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ირლანდიელი ექიმის ანტისიმსივნურ დიეტას ეჭვქვეშ აყენებდნენ არგუმენტით — სისტემა მეტად მარტივია და მასში შედის ყველასთვის ხელმისაწვდომი პროდუქტი... არადა მოერმანი ახერხებდა, გამოეჯანმრთელებინა უიმედო ავადმყოფებიც კი, რომელთაც ექიმები არცთუ სახარბიელო პერსპექტივებს უსახავდნენ და ზოგის მკურნალობაზე საერთოდ არ იწუხებდნენ თავს. საზოგადოების აღიარება ექიმმა 1987 წელს მოიპოვა, როცა ნიდერლანდების ჯანდაცვის სამინისტრომ აღიარა და დაამტკიცა მოერმანის მეთოდი.

მაინც რითაა მოერმანის მეთოდი ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო? — საქმე ისაა, რომ ამ დიეტის წყალობით მყარდება იმუნური სისტემა და სტაბილურდება ნივთიერებათა ცვლა. ეს ყველაფერი ნატურალური პროდუქტის დამსახურებაა — ბოსტნეული, ხილი, ნატურალური წვენები, მარცვლეული.

მოერმანის კვების სისტემა განკუთვნილია ონკოპაციენტებისთვის — საუზმე უნდა შედგებოდეს 2 ფორთოხლისა და ლიმონის ახლადგამოწურული წვენისგან, პურისგან (რომელიც დაღერღილი მარცვლეულითაა მომზადებული); შეიძლება ამ საუზმის შეცვლა შვრიით, ხილითა და მწვანე ჩაით... მეორე საუზმის შემადგენლობა კი ასეთია — ვაშლისა და ჭარხლის წვენი, ხილი; ლანჩზე სასურველია მიირთვათ ფაფა (ბრინჯის), ორთქლზე მოშუშული ბოსტნეული, ცოტაოდენი ზეთი, სალათი და ხილი.

მოერმანის მეთოდის არსი გასაგებია, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია იმ პროდუქტის ცოდნა, რომლის მიღებაც არ შეიძლება ონკოლოგიური დაავადებისას. მწვანე ბარდა, კარტოფილი, ოხრახუში, რეჰანი, კომბოსტო, ხილი, ნატურალური წვენი (ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი, სტაფილო, ჭარხალი), მსხვილად დაღერღილი მარცვლეული პროდუქტი, კვერცხის გული, თაფლი, ბალახეულის ჩაი, ზეთი, ზღვის მარილი... — ეს სასარგებლო პროდუქტია, ხოლო აკრძალულ საკვებში შედის შავი ჩაი ან ყავა, თეთრი პური, მაკარონი, ნამცხვარი, ხორცი და ცხოველური ცხიმები, რაფინირებული შაქარი, თევზი და მოლუსკები, რძის პროდუქტი, კვერცხის ცილა, სოკო და სოკოს ბულიონი, კონსერვანტები, ალკოჰოლი, თამბაქო.

მეთოდი განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩევა, თუმცა ეფექტურობის მხრივ მსოფლიო აღიარება მოიპოვა, „მოერმან ვერენინგის“ ასოციაცია კი მსოფლიო მასშტაბით 10 ათას წევრს ითვლის.

საქმე ისაა, რომ ჯანსაღი საკვების უმთავრესი ნიშანი ბიოლოგიური ენერგიაა, უპირველეს ყოვლისა, მზის ენერგია. ორგანიზმს სჭირდება არა კალორიები (თორემ ისინი ნავთობშიც უხვადაა), არამედ აქტიური მოლეკულების ენერგია, რაც მინიმუმამდეა დაყვანილი ხორცში, მკვდარ პროდუქტში (ფქვილი, შაქარი) ის საერთოდ არ არის, ხოლო თუ პროდუქტი ამ ენერგიის არარსებობის ფონზე მავნე ნივთიერებებსაც შეიცავს, საერთოდ მომწამვლელია. რაც მთავარია, საკვები უნდა იყოს სეზონური — გაზაფხულზე ბევრი მწვანილი, ზაფხულში და შემოდგომით — ბოსტნეული და ხილი.

არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ მშრალი ფაქტები მოვიყვანეთ და ვინ იცის, იქნებ სწორედ კვების ასეთი სისტემა ინახავს იმ დიდ საიდუმლოს, რასაც კიბოს წამალი ჰქვია!

1. მუსლიმთა სასულიერო სასწავლებელი
2. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
3. ყველაზე დღეგრძელი ბიბლიური პერსონაჟი
4. საეკლესიო საგალობელთა წიგნი
5. კაბოვერდელი მომღერალი
6. ქართველი კინორეჟისორი
7. აბზინდის არაყი
8. უნაყოფო პირუტყვი
9. კუნძულ ჰაიტის ყოფილი სახელი
10. დიდი იტალიელი ფერმწერი
11. სამოქალაქო ხელისუფლება
12. კორნეი ჩუკოვსკის ვეტერინარი
13. ქალაქი და ტბა კანადაში
14. კოვბოის ქამანდი
15. გეომეტრიული სხეული
16. ბეწვის ჩექმები
17. ფოტოგრაფიის ერთ-ერთი მამა
18. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
19. თვალის „ყავარჯენი“
20. გაზაფხულის ყვავილი
21. უპიგმენტო ადამიანი
22. ამაზონის დელფინი
23. ტბა ფინეთში
24. იაპონური ავტომარკა
25. ყველაზე დიდი ქვეწარმავალი
26. ფრანგი კომპოზიტორი
27. სამხედრო ფერი
28. ზევსის ბაბუა
29. მაუგლის მეგობარი დათვი
30. გამადიდებელი შუშა
31. მტრედის ნაშიერი
32. „მახრჩობელა“ ხილი
33. დათა თუთაშხიას და
34. ქართული ხალხური ზღაპარი
35. ფრანგული ყურძნის ჯიში
36. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
37. მდინარე ოჩამჩირის რაიონში
38. სისხლნაკლებობა
39. ძვ. ფრანგული ოქროს ფული
40. პლანეტა ვენერას ხალხური სახელი
41. თმის მცენარეული საღებავი
42. ბგერის გრაფიკული ნიშანი
43. სატანვარჯიშო იარაღი
44. რუმინეთის ფულის ერთეული
45. მიწის დასამუშავებელი იარაღი
46. ცეცხლგამძლე ლაბორატ. ჭურჭელი
47. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
48. არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
49. მთავარი საწყობი
50. აღმოსავლური ხემიანი საკრავი
51. ცისარტყელას ქალღმერთი
52. მსახიობი ... პაჩინო
53. მშვილდით სასროლი ჯოხი
54. „გირჩებიანი“ ბალახი
55. სამაგიდო თამაში
56. ნაკურთხი წყალი
57. რუსული როკ-ჯგუფი
58. მდინარე აღმოსავლეთ საქართვ.
59. მომღერალი ... ჰიუსტონი
60. ინდოელი ქალის სამოსი
61. საგანგებო დავალებით წარგზავნილი პირი
62. სამართალმცოდნე
63. სპორტული ნავი
64. პურის მცხობელი





# „ჭკვიანი“ თეფში გახდომის მსურველთათვის

ამერიკელმა ენტონი ორტიზმა პენსილვანიიდან, იმ ადამიანების დასახმარებლად, ვისაც გახდომა სურს, „ჭკვიანი“ თეფში შექმნა, რომელსაც შეუძლია ზუსტად განსაზღვროს საკვების ულუფის რაოდენობა და დაითვალოს კალორიები. ენტონიმ ეს გაჯეტი მამისთვის შექმნა, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა და იძულებული იყო, საგულდაგულოდ დაეთვალა საჭმლის კალორიულობა. ახალი თეფში სამ ზონადაა დაყოფილი, რომელთაგან თითოეული აღჭურვილია მინიატურული კამერით. მას შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა პროდუქტი, შემდეგ თეფში თავის ფართო მონაცემთა ბაზას უკავშირდება და გამოითვლის საჭმლის კალორიულობას, ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობას. დღის განმავლობაში ადამიანის კვების გაანალიზების შემდეგ, თეფშმა შესაძლოა აღმოაჩინოს შეცდომები, მაგალითად, ვიტამინების ან უჯრედისის ნაკლებობა, ანდა მარტივი ნახშირწყლების სიჭარბე. გამომგონებლის თქმით, „ჭკვიანი“ თეფში გასაყიდად გაისად გამოვა და 199 დოლარი ეღირება.

# მარტოხელა მოხუცს იუბილე გადაუხადეს

ბრიტანეთის ქალაქ შეფილდის მცხოვრებმა ვინი ბლაგდენმა 100 წლის იუბილეზე 16 ათასი მისალოცი ბარათი მიიღო და გარდა ამისა, 200-ზე მეტი საჩუქარი, თაიგულები, ორი ტორტი ერგო. საქმე ისაა, რომ რამდენიმე კვირის წინ „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტებმა გაიგეს ქალბატონი ბლაგდენის მოახლოებულ 100 წლისთავზე. ისიც შეიტყვეს, რომ საუკუნოვანი თარიღის აღნიშვნა მარტოს მოუწევდა, რადგან მეუღლე გარდაეცვალა, შვილები კი არ ჰყავდა. ამის შემდეგ მედიის წარმომადგენლებმა Facebook-ში გამოაქვეყნეს მოწოდება, მოხუცისთვის დაბადების დღე მიელოცათ. რადიოსადგურის ჟურნალისტების წამოწყებას ათასობით ადამიანი გამოეხმაურა, აქციაში მხოლოდ ბრიტანელები არ მონაწილეობდნენ. მისალოცი ბარათები მოდიოდა ტაივანიდან, სინგაპურიდან, აშშ-დან და სხვა ქვეყნებდანაც. ბლაგდენის ასი წლის იუბილე ქალაქის რატუშაში იზეიმეს. ბედნიერი იუბილარი აცხადებდა, რომ ყველაფერი შესანიშნავი იყო.



# მერმა გზებზე შაქარი დაყარა



ბულგარეთში, ნოვა-ზაგორას მერმა ნიკოლაი გროზევმა, ქალაქისკენ მიმავალ ოთხ გზას 50 კილოგრამი შაქარი მოაყარა იმ იმედით, რომ ასე სავალი ნაწილიდან ბოროტ სულებს განდევნიდა. მერი იმედოვნებს, რომ შემცირდება ავარიების რაოდენობა, რაც ძალიან ხშირია ამ ადგილებში. მარტო ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ამ გზებმა ოთხი ადამიანის — ორი პოლიციელისა და ორი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა, ხუთი კი მძიმედ დაშავდა. გროზევი აღნიშნავს, რომ იდეა ადგილობრივი საბავშვო ბაღის მასწავლებელმა მიაწოდა. ქალაქის ხელისუფლებამ ძველ ტრადიციას მისდია და გზებზე შაქარი მოაბნია ბოროტი სულების განსადევნად. ეს რასაკვირველია, სიმბოლური ჟესტია და გვსურს, აქაც და მთელ ბულგარეთშიც ადამიანებმა უფრო ფრთხილად მართონ ავტომობილი, — განაცხადა მერმა.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 8 | 7 |
| | | 7 | 6 | | | 5 | | |
| 3 | | | 9 | 8 | | | 6 | |
| 8 | | | | | | | | 3 |
| | 4 | 5 | | | | 8 | 9 | |
| 7 | | | | | | | | 5 |
| | 9 | | | 4 | 1 | | | 8 |
| | | 6 | | | 5 | 1 | | |
| 1 | 2 | | | | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 4 | 8 | | | | 1 |
| 5 | | | | | 3 | | | |
| 7 | | | 6 | 5 | | | | 9 |
| 8 | | | | 3 | | 1 | 9 | |
| | | | 8 | | 6 | | | |
| | 6 | 5 | | 4 | | | | 7 |
| 1 | | | | 6 | 4 | | | 5 |
| | | | 9 | | | | | 3 |
| 9 | | | | 1 | 5 | | 4 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 1 | 6 | | |
| | | | 3 | | | 8 | | 1 |
| | | 1 | | | | | 3 | |
| 5 | | 4 | 9 | 2 | | | | 7 |
| | 1 | | 7 | | 6 | | 9 | |
| 9 | | | | 3 | 5 | 4 | | 6 |
| | 9 | | | | | 5 | | |
| 4 | | 6 | | | 7 | | | |
| | | 5 | 2 | | | | | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | 8 | | |
| | 3 | | | | | | 4 | 1 |
| | 1 | 6 | 7 | | | | 2 | |
| | | | | 1 | 5 | 9 | | |
| 2 | 9 | | | 8 | | | 3 | 4 |
| | | 7 | 4 | 9 | | | | |
| | 5 | | | | 2 | 6 | 9 | |
| 3 | 7 | | | | | | 1 | |
| | | 2 | | | | 7 | | |



## ყველაზე მოსაწყენი საქმიანობა

ბრიტანული კომპანია Interparcel-ის ექსპერტებმა თანამემამულეებში გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რა საქმიანობა ან მოვლენაა ყველაზე მოსაწყენი მსოფლიოში. შედეგების მიხედვით, სწავლულებმა ტოპ-ათეული შეადგინეს, რომელის პირველი ადგილი პოლიტიკოსების გამოსვლებმა დაიკავა. მეორე საფეხურზე აღმოჩნდა რაიმეს ლოდინი. ბრიტანელებმა მესამე ადგილი მიაკუთვნეს რიგს საფოსტო განყოფილებებში. ათეულში შევიდა ასევე: საცობი გზაზე, ტელემარკეტი, მისაღებში ლოდინი, ნელი wi-fi, შეკვეთის (მაგალითად პიცის) მიღების მოლოდინი, შეფერხება მატარებლის განრიგში და სარეკლამო ჭრა ტელევიზიაში. ყველაზე მოსაწყენ პოლიტიკოსად ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ედვარდ მილიბენდი და პრემიერი დევიდ კემერონი დაასახელეს, ყველაზე უინტერესო ვარსკვლავებად აღიარეს ბონო, კალიე უესტი და გვინეტ პელტროუ. მთქნარების მომგვრელ კინოფილმად კი, მოულოდნელად, „გრეის 50 ელფერი“ დაასახელეს. ყოველი ათი გამოკითხულიდან კი შვიდმა აღიარა, რომ თავადაც მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობს.

## იაპონელი სტუდენტები ურთიერთობას გაურბიან

ლანჩის დროს არასასურველი ურთიერთობისთვის თავის არიდების მიზნით, იაპონელმა სტუდენტებმა კიოტოსა და კობეს უმაღლესი სასწავლებლებიდან მოითხვეს, კაფეში ჩვეულებრივი სასადილო მაგიდები სპეციალური — „ანტისოციალურით“ შეეცვალათ, რომლსაც შუაში 50-სანტიმეტრიანი ტიხარი აქვს. უამრავ ქვეყანაში არსებობს ტრადიცია, ლანჩის დროს ერთ მაგიდასთან შეიკრიბონ მეგობრები თუ თანამშრომლები, თან მიირთვან და თან იურთიერთონ. სწორედ ამას გაურბიან ახალგაზრდები ამომავალი მზის ქვეყნიდან — სწავლით ისე არიან გადატვირთულები, რომ ზოგადი საუბრისთვის დროის დაკარგვა არ სურთ. ამიტომაც სადილობისას ტიხარით ერთმანეთისგან გამოყოფილი ადგილები, ე.წ. bocchi seki, ანუ „მარტოსული ადგილები“ მათთვის მისწრებაა. მაგიდის შუაში გაუმჭვირვალე დაფა საშუალებას იძლევა, ადამიანი მხოლოდ ჭამით იყოს დაკავებული და ხელს არავინ უშლიდეს. bocchi seki უკვე საკმაოდ პოპულარულია იაპონელ სტუდენტებში და ის ქვეყნის რამდენიმე ქალაქის საუნივერსიტეტო კაფეებში მოქმედებს.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 9 | 2 | 5 | 7 | 6 | 4 | 1 | 8 | 3 |
| 3 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 2 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 | 7 | 3 | 9 |
| 6 | 7 | 1 | 9 | 2 | 3 | 8 | 4 | 5 |
| 1 | 3 | 2 | 4 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 |
| 5 | 6 | 8 | 3 | 7 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 4 | 9 | 7 | 2 | 1 | 5 | 3 | 6 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 7 | 3 | 1 | 4 | 6 | 5 | 9 |
| 1 | 6 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 5 | 9 | 6 | 8 | 7 | 1 | 3 | 2 |
| 7 | 1 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 | 3 |
| 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 8 | 6 |
| 3 | 9 | 6 | 2 | 7 | 8 | 4 | 1 | 5 |
| 9 | 7 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 6 | 8 | 5 | 7 | 9 | 2 | 3 | 4 | 1 |
| 2 | 3 | 4 | 8 | 5 | 1 | 9 | 6 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 2 | 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 1 | 9 | 2 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 | 9 | 7 |
| 5 | 7 | 3 | 4 | 2 | 9 | 8 | 1 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 8 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 9 | 5 | 1 |
| 1 | 4 | 5 | 9 | 8 | 6 | 3 | 7 | 2 |
| 9 | 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 4 | 6 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 5 | 6 | 2 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 7 | 3 | 9 | 6 | 4 | 5 | 2 |
| 5 | 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 5 | 8 | 4 | 7 | 3 | 1 | 6 | 9 |
| 9 | 4 | 6 | 8 | 1 | 2 | 3 | 7 | 5 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 8 | 9 | 4 | 7 | 3 | 6 | 2 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 6 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 9 | 6 | 7 | 3 | 2 | 8 | 4 | 5 | 1 |
| 6 | 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 | 7 | 8 |
| 2 | 8 | 5 | 7 | 3 | 9 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 7 | 1 | 8 | 5 | 6 | 2 | 9 | 3 |
| 1 | 5 | 6 | 4 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 |
| 8 | 4 | 2 | 6 | 7 | 1 | 9 | 3 | 5 |
| 7 | 3 | 9 | 5 | 8 | 2 | 1 | 4 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 6 | 9 | 3 | 1 | 2 | 8 | 7 |
| 1 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 5 | 2 |
| 3 | 2 | 5 | 8 | 6 | 9 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 |
| 6 | 5 | 4 | 7 | 2 | 8 | 1 | 9 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 5 | 7 | 4 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 4 | 6 | 5 | 7 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 |
| 7 | 3 | 4 | 2 | 5 | 1 | 6 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 2 | 8 | 3 | 4 | 7 | 1 | 5 |
| 5 | 1 | 8 | 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 9 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 8 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 7 | 4 | 8 | 5 | 1 | 6 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 8 | 9 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 1 | 7 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 | 6 | 8 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 7 | 9 | 1 |
| 7 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 8 | 9 | 2 | 1 | 7 | 3 |
| 3 | 2 | 7 | 6 | 5 | 1 | 8 | 4 | 9 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. კარცერი; 2. აურა; 3. ცივილიზაცია; 4. რონდო; 5. მექსიკა; 6. ევთანაზია; 7. სინანულისანი; 8. კათეტი; 9. ერქვანი; 10. ინანიშვილი; 11. მუარი; 12. ხრიოკი; 13. ათინათი; 14. ობი; 15. ელამი; 16. იანკი; 17. მსოფლიო; 18. მენიუ; 19. ნონ-ეტი; 20. ხომლი; 21. აბულია; 22. აზატი; 23. ლიმა; 24. ლევრეტი; 25. გიშერი; 26. ალიზი; 27. რანჩო; 28. ლუწი; 29. ვარდი; 30. წერტილი; 31. დუმილი; 32. არსი; 33. რიკული; 34. ლეში; 35. კვიცი; 36. ელიბო; 37. კომი; 38. ვაიმე; 39. რიარია; 40. ტუში; 41. ია; 42. არია; 43. პლანკი; 44. ვატი; 45. როდეო; 46. მერიმე; 47. ერი; 48. ტირი; 49. ტანდემი; 50. ლირი; 51. კილიკია; 52. დრიუ; 53. ოში; 54. ლორე; 55. ემი; 56. საამი; 57. აპისი; 58. ირისი; 59. სტოა; 60. კუ; 61. იკი; 62. ადლი; 63. კაი.

მე-12 გვერდი: 1. კასკადიორი; 2. ვირაჟი; 3. კორნერი; 4. სარდალი; 5. ალფონსი; 6. ვენესუელა; 7. რუბეროიდი; 8, ჟოლო; 9. იაფეტი; 10. მინსკი; 11. ფუროორი; 12. ნობელი; 13. ოქტავა; 14. შლეიფი; 15. ლოქო; 16. ნიამეი; 17. ლირა; 18. სორო; 19. ტირე; 20. ფინიკი; 21. ირიტი; 22. კროუ; 23. დალი; 24. აკრი; 25. ლოჯია; 26. ვილა; 27. ტოკიო; 28. ჯაბა კანკავა; 29. ლარინა; 30. კნეინა; 31. ლოტკინი; 32. ავი; 33. „ბრიტანიკა“; 34. ურო; 35. აფალინა; 36. ნანეტი; 37. კიური; 38. ვლადი; 39. ბარაკონი; 40. ბერკუტი; 41. ოლიფა; 42. კურო; 43. ტირენი; 44. აული; 45. იდეა; 46. იტი; 47. კრონა; 48. ბაო; 49. ტაი; 50. ბია; 51. ეტი; 52. ბუნიაობა; 53. ნაია; 54. ბათისკაფი; 55. დეფილე; 56. ნუგა; 57. ბაროუ; 58. იბნ; 59. ოტიტი; 60. ტინი; 61. აკნე; 62. გენი; 63. ლეთე; 64. თოკი; 65. თრია; 66. ახო; 67. კრავაი; 68. ამია; 69. ფული; 70. სოია; 71. ასო; 72. ალი; 73. უნია; 74. ოლე; 75. დოლი; 76. ფხა; 77. ამაო; 78. იდო; 79. არე; 80. სი; 81. ბადრი; 82. ტარო; 83. ორატორი; 84. კრეოლი; 85. მეფისტოფელი; 86. არაქსი; 87. ალიბი.



1. მცენარის ყლორტის ჩანასახი
2. იაპონური პირშუშხა
3. რომის ლეგენდარული დამაარსებელი
4. აშშ-ის შტატი
5. მექალთანე მამაკაცი
6. ტარიე-ლის მამა „ვეფხისტყაოსანში“
7. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
8. (ძვ.) სიგრძის საზომი ერთეული
9. დაუმუშავებელი ბრილიანტი
10. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მინერალი
11. იგივეა, რაც იარლიყი
12. ბიძგების შერბილება სპეც. მოწყობ. საშუალებით
13. სასწორის თეფში
14. პინგვი-ნის ჯიში
15. საგანგებო დავალება
16. ნახევრად დამშრალი ზღვა აზიაში
17. კურკოვანი ხილი
18. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
19. თონეში ჩავარდნილი პური
20. ხევისბერი გოჩას ვაჟი
21. ქალაქი ესპანეთში
22. ფიროსმანის ცნობილი ნახატი
23. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
24. ჩეხური მუსიკის კლასიკოსი
25. მსახიობი კიანუ ...
26. საესტრადო წარმოდგენის სახეობა
27. სოფელი ჩხოროწყუს რაიონში
28. მტკნარი წყლის თევზი
29. დიდი, მსხვილი ჯოხი
30. პერიოდ. მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში
31. აზარტული თამაშებით გატაცება
32. სასახლე ძველ ქართულში
33. ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
34. აგენტი 007
35. ტროას ომის მიზეზი
36. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
37. გულანშაროს მთავარი „ვეფხისტყაოსანში“
38. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
39. სასაუზმე საფრანგეთში
40. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
41. ბავშვის მოსანათლავი საეკლესიო ჭურჭელი
42. მიმართვა ბენიტო მუსოლინისადმი
43. სჯულის მცოდნე მაჰმადიანებში
44. აღმოსავლური ხორციანი ღვეზელი
45. კვერცხის გარეთა მაგარი გარსი
46. ძველეგვიპტელთა წმინდა ხარი
47. ზრდილობიანი დასტური
48. საქონლის შესაფუთავი ჭურჭელი
49. აბრეშუმის ჭიის განვითარების სტადია
50. ყატარის დედაქალაქი
51. ჯანმრთელობის ქალღმერთი ბერძნ. მით.
52. მოდელიორი ... კარდენი
53. იგივეა, რაც ჯადოქარი
54. ადამიანის სამეტყველო ორგანო
55. ლეგენდარული ჩეხი ჩოგბურთელი
56. კატის ხმიანობა
57. დარისპანის უფროსი ქალიშვილი
58. საქონლის წვნიანი საკვები
59. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
60. ირანის ადმინისტრაც.-ტერიტორიული ერთეული
61. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
62. ჭიდაობის ილეთი
63. სამეურნეო მუშაკი
64. ყოფილი ფრანგი შავკანიანი ჩოგბურთელი
65. ჭერზე ჩამოსაკიდებელი გასანათებელი მოწყობილობა
66. წინსართი, ნიშნავს საავიაციოს
67. ძველი ქართული ხორბლის სახეობა
68. დიდი თეფში
69. წვეულება, ლხინი, ქეიფი
70. საგანთა ნუსხა
71. საოჯახო ელექტროხელსაწყო
72. რაჭის „დედაქალაქი“
73. ერთგვარი პატარა ფრინველი
74. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
75. ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობენ
76. სიყვარულის ქალღმერთი სლავურ მითოლოგიაში
77. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
78. ბერძნული ანბანის ასო
79. ტრიუმფისა და გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
80. მუსიკალური გამის VII ნოტი
81. ქართლის მეფე „აბესალომ და ეთერში“
82. კომისარ მეგრეს „ლიტერატურული მამა“
83. მადამ ბოვარის სახელი
84. ჭაობის მცენარე
85. ზევსის ერთ-ერთი სატრფო
86. ჯოტია ცაავას სატრფო „რეკორდში“
87. ჯავშნიანი ქვეწარმავალი



# ძაღლს ოქროს Apple Watch უყიდა

ჩინელი მილიარდერის შვილმა საკუთარ ოთხფეხა მეგობარს ორი ოქროს საათი Apple Watch უყიდა. საყვარელი ძაღლის ფოტოები, რომელიც ინტერესით ათვალიერებს ახალ სამკაულს, ვან სი ცუნმა სოციალურ ქსელში განათავსა. მე ორი ახალი საათი მაქვს. ალბათ, ოთხი უნდა მქონოდა, რადგან ოთხი თათი მაქვს, მაგრამ ეს ვულგარული იქნებოდა. ორი საათი კი ზუსტად შეესაბამება ჩემს სტატუსს, — დაწერა ძაღლის სახელით პატრონმა. ჩინეთში Apple Watch-ის ოქროს საათი დაახლოებით 14 ათასი დოლარი ღირს. ასე რომ, მილიარდერის შვილმა ძაღლს სრულიად უსარგებლო, 28 ათასი დოლარის ღირებულების ნივთები შეუძინა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.